ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 31 ივლისი, 2018 №179 (7724) ფასი: 60 თეთრი

საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის მოხმარებაზე სანქციები გააუქმა

გვ.7

აკაკი ზოიძე ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება

24 აგვისტოს ოსები ყაზბეგის დაბრუნებას ოფიციალურად მოითხოვენ

გვ.3

„ოსების ჩამოწევა თრუსოსკენ მე-17 საუკუნის ბოლოს მოხდა. თავიდან 4 თუ 5 ოსური სოფელი დაარსდა ამ ხეობაში. მერე სოფლების რაოდენობა გაიზარდა და სადღაც კობთან გამოვიდნენ. ეს უკვე მე-19 საუკუნეში ხდება. მინდა ყველამ კარგად გაითავისოს, რომ მე-17 საუკუნემდე თრუსოს ხეობაში ოსის ჭაჭანება არ ყოფილა“



დეკანოზი გიორგი მამალაძე სინოდს სკანდალურ ინფორმაციას მიაწვდის

გვ.2

რატომ არ შეუშვეს მამა გიორგისთან პარლამენტის წევრები

გვ.4

გიორგი ვაშაძე: „მარგველაშვილისგან საერთოდ რას უნდა ველოდოთ, ალარ ვიცი“

„ოცნება“ ფიქრობს, რომ ძალიან რთული არჩევნები იქნება“

ანზორ აბრალავა: „ვინც უნდა აირჩიონ პრეზიდენტად, ახლანდელი კურსი არ შეიცვლება“

გვ.4

ტექნიკურ უნივერსიტეტში ოჯახურ ძალადობასა და ბავშვთა უფლებებზე საკანონმდებლო წინადადებით გამოდიან

„გვინდა ხელისუფლებასა და მეცნიერებს შორის ჩატეხილი ხიდი აღვადგინოთ“

გვ.5

სამართალი გვ.7

თელავის სასამართლომ ბადაგონის ქონებას ყადაღა დაადო

იტალიაში 31 წლის ქართველი კაცი ქალის ცემის გამო დააკავეს

მამაკაცი, რომელსაც რუსთავში 1 თვე ეძებდნენ, საკუთარ მანქანასთან გარდაცვლილი იპოვეს

ეკონომიკა გვ.6

ჭარბვალიანობის გამოქვეყნებული ანტირეკორდები — სად არის გამოსავალი?



საქართველო ხდება რეგიონის ტურისტული „ზესახელმწიფო“



რა გავლენას მოახდენს ბიუჯეტზე ნატურალური რძისა და რძის ნაწარმის მიწოდების დღგ-სგან სრულად გათავისუფლება

ISSN 1987-9385

2 ყველა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზაცია უნდა მოხდეს, თუ მხოლოდ ნაწილის

5 პირველი აგვისტოდან თბილისში ტაქსების რეგისტრაცია იწყება

2 ირმა ნადირაშვილი: „სამწუხაროდ, გრიგოლ ვაშაძე უპასუხისმგებლო ადამიანი აღმოჩნდა“

5 საქართველოს გზებზე სიკვდილიანობა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს ორჯერ აღემატება

დეკანოზი გიორგი მამალაძე სინოდს სკანდალურ ინფორმაციას მიაწვდის

რატომ არ შეუშვეს მამა გიორგისთან პარლამენტის წევრები

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმეზე მსჯავრდებულ დეკანოზ გიორგი მამალაძეს წმინდა სინოდის სხდომაზე წარდგომა სურს. ამის შესახებ დეკანოზმა მის ადვოკატს განუცხადა. მიხეილ რამიშვილმა თავის დაცვის ქვეშ მყოფი გუშინ, 30 ივლისს მოინახულა.

შეხვედრის მთავარი თემა მეუფე გრიგოლთან გამართული შეხვედრა იყო. ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მამა გიორგი გასულ კვირას მოინახულა. მეუფე გრიგოლი შეხვედრის დეტალებზე ხმამაღლა არ საუბრობს და ამბობს, რომ ამის შესახებ სინოდის სხდომაზე ისაუბრებს.

მიტროპოლიტისა და დეკანოზის შეხვედრის დეტალებს არც ადვოკატი მიხეილ რამიშვილი ახმოვანებს.

მისი ინფორმაციით, დეკანოზმა მეუფე გრიგოლთან შეხვედრისას ყველა კითხვაზე გასცა პასუხი.

რამიშვილის თქმითვე, სწორედ ამიტომ ითხოვს მეუფე გრიგოლი წმინდა სინოდის სხდომის მოწვევას, რათა ამ თემაზე კითხვები აღარ დარჩეს.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის გარდა, დეკანოზი გიორგი მამალაძე მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტმა ილარიონმაც მოინახულა.

– დეტალურად იყო ყველა საკითხი განხილული, შიდა სამზარეულოში ის კითხვები, რაც კი არსებობდა და დღეს საზოგადოებაშიც არის, თუ რა შეიძლებოდა და ვისგან შეიძლებოდა და რა მიზანიც ჰქონდა, ამაზეც იყო საუბარი. ის ფაქტი, რომ ისეთი საკითხები, რომელიც თვით მათთვისაც უცნობი იყო, ამან გამოიწვია ზუსტად ის მოთხოვნა, რომ წმინდა სინოდზე მოხდეს განხილვა, ხელმეორედ მოხდეს გამოძიება, – განაცხადა რამიშვილმა.

მამა გიორგი მამალაძე მზად არის შეხვდეს ნებისმიერ სასულიერო პირს, თუმცა ამ ეტაპზე უცნობია, იგეგმება თუ არა მსგავსი შეხვედრა მასთან.

მეუფე გრიგოლმა გასულ კვირას სკანდალური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ციანიდის სკანდალის შემდეგ, საერო პირები პატრიარქს გადადგომას ურჩევდნენ.

ამ განცხადებას, როგორც მოსალოდნელი იყო, სერიოზული რეზონანსი მოჰყვა. მთელი კვირა ეს თემა იყო აქტუალური. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამ საკითხზე საუბრობდა, საპატრიარქომ რეაგირება დააგვიანა.

საპატრიარქოს სახელით განცხადება გუშინ, 30 ივლისს გავრცელდა.

– როგორც ცნობილია, ა.წ. 23 ივლისს „ტვ პირველის“ ეთერში ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) გამოსვლამ დატოვა კითხვები, რასაც შემდეგ „რუსთავი 2-მა“ სამი გადაცემა მიუძღვნა, თემა „განავითარა“ და არაერთი საერო პირისადმი გამოთქმული დაუსაბუთებელი ბრალდებები გააჟღერა.

ვფიქრობთ, ყოველივე ამის მიზანი იყო, ჩრდილი მიეყენებინათ მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) მიმართ საზოგადოებაში არსებული დადებით განწყობისადმი და, სხვა მიზეზი რომ ვერ მოძებნეს, მოინდომეს მისი პრორუსულ ძალად წარმოჩენა, რომელიც, თურმე, კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრედ მისმა უწმინდესობამ იძულებით გამოარჩია (მიანიშნებენ რუსულ ჩარევაზე) და ასევე იძულებით, დაჩქარებული წესით, უნდა მომხდარიყო პატრიარქად მისი გახდომა.

ამ იდეების გამავრცელებლებმა სინამდვილეში თვითონაც კარგად იციან კათოლიკოს-პატრიარქის ხასიათი, რომ ვინმეს ზეწოლით იგი არასდროს მოქმედებს და გამორიცხულია მისი იძულება, მით უმეტეს, ეკლესიისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით; რა თქმა უნდა, იგივე ითქმის მოსაყდრესთან მიმართებაშიც.

ხოლო თუკი წამოჭრილ თემასთან დაკავშირებით კითხვები მაინც ვინმეს აქვს, უნდა მიმართონ მეუფე გრიგოლს (ბერბიჭაშვილი), რადგან, როგორც ჩანს, რეალურად სხვამ არავინ იცის, რას და ვის გულისხმობდა იგი. – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

როდის გაიმართება წმინდა სინოდის სხდომა, ეს ცნობილი არ არის. სამაგიეროდ ციანიდის საქმეზე სერიოზულ სკანდალებს უნდა ველოდოთ. დეკანოზი გიორგი მამალაძე დეპუტატ ემზარ კვიციანთან ითხოვს შეხვედრას.

ემზარ კვიციანთან შეხვედრა მამა გიორგიმ პირველად გასულ წელს მოითხოვა. კვიციანის გარდა დეკანოზი დეპუტატ გიორგი ლომიასთანაც ითხოვდა შეხვედრას. პარლამენტის თავმჯდომარისგან ნებართვის მიღების შემდეგ, დეპუტატები საპატიმრო დაწესებულებაში არ შეუშვეს.

„ახალ თაობასთან“ საუბარში კვიციანი ამბობს, საპატიმროში უთხრეს, რომ მამა გიორგის მათთან შეხვედრა აღარ სურდა.

30 ივლისს კვიციანს ხელთ ჩაუვარდა დეკანოზის წერილი, სადაც ის ჩაშლილ შეხვედრაზე საუბრობს. წერილის თანახმად, მამა გიორგის შეხვედრის ჩაშლის სულ სხვა მიზეზი დაუსახელეს. კერძოდ უთხრეს, რომ კვიციანს და ლომიას პარლამენტის სპიკერისგან ნებართვა არ ჰქონდათ.

– ეს არის დიდი დანაშაული და ამაზე პირველ რიგში პარლამენტის სპიკერმა უნდა მოახდინოს რეაგირება. მე მას წერილობითაც გავუგზავნე მიმართვა და შევეცდები თქვენი გაზეთითაც მივაწვდინო ხმა.

ბატონო ირაკლი, თარიღი ზუსტად არ მახსოვს როდის, მაგრამ მე და ფრაქცია „პატრიოტების“ თავმჯდომარემ გიორგი ლომიამ მოგმართეთ განცხადებით, აწ უკვე მსჯავრდებულ დეკანოზ მამა გიორგი მამალაძესთან შეხვედრის ნებართვაზე.

თქვენი ბრძანებით აღჭურვილები მივედით მატროსოვის პენიტენციურ დაწესებულებაში, საიდანაც ჩვენ უარით გამოგვისტუმრა უშუალოდ ხელმძღვანელმა ჯამატაშვილმა და არ შეგვახვედრა ბრალდებულს იმ მიზეზით, რომ თითქოს მას არ ჰქონდა სურვილი ჩვენთან შეხვედრის. განცხადებაც წაგვაკითხა მამა გიორგის მიერ დაწერილი.

ახლა კი მივიღე მამა გიორგის წერილი და თავად წაიკითხეთ განცხადება, რომელიც დაწერილია მის მიერ და თავად გამოიტანეთ დასკვნა თუ რასთან გვაქვს საქმე!

უბრალოდ საქართველოში პარლამენტის ინსტიტუტი არის დაკნინებული და ესე ხდება უკვე მთელი ეს პერიოდი, რაც მე-9 მოწვევის პარლამენტი არსებობს. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ სუსტია ხელმძღვანელი და მმართველი გუნდი, რომელიც დღეს მართავს საქართველოს პარლამენტს! კატეგორიულად მოვითხოვ, დაიწყოს გამოძიება, რატომ იცრუა პენიტენციის დაწესებულების ხელმძღვანელმა და ვისი დავალებით მოქმედებდა მაფიოზური მეთოდებით!

უშუალოდ თქვენგან მოვითხოვ ბატონო ირაკლი, რომ აიყვანოთ პირად კონტროლზე, რათა დავადგინოთ, რატომ არ შეასრულა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება ზაზა ჯამატაშვილმა და რატომ არ შეახვედრა მსჯავრდებულს პარლამენტარები, რომლის დაკავებასთან დაკავშირებით დღესაც გაუცემელია უამრავ კითხვაზე პასუხი და არსებობს საზოგადოებაში ეჭვი, რომ ერთ-ერთი ერთგული საყრდენი გამოაცალეს მის უწმინდესობას. სწორედ ეს ფაქტი, რასაც თქვენ აქ ხედავთ, აღრმავებს ამ ეჭვებს!!! დღესვე მოგმართავთ კიდევ ერთხელ განცხადებით, რათა უკვე მსჯავრდებულის მოთხოვნით, რომელსაც ამ განცხადებაში ხედავთ, გთხოვოთ თანხმობა მსჯავრდებული მამა გიორგი დეკანოზის მონახულებაზე, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში კვიციანი.

ყველა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზაცია უნდა მოხდეს, თუ მხოლოდ ნაწილის

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას ინფორმაციით, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის თაობაზე ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტის განხილვა სექტემბერში, სასესიო ფორმატში გადაინაცვლებს.

როგორც ბესელიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, არის საკითხები, რაზეც მმართველ გუნდში ყველა თანხმდება. მისივე თქმით, კვლავ დასაზუსტებელია საკითხი, რომელიც ნარკოტიკული საშუალებების პირადი მოხმარების ოდენობებს ეხება. ასევე დისკუსიის თემაა, ყველა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზაცია მოხდეს, თუ მხოლოდ ნაწილის.

– ნარკოპოლიტიკის თემაზე ინიცირებული კანონპროექტის საკომიტეტო მოსმენა დასრულების ეტაპზეა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტი სექტემბერში შემაჯამებელ სხდომას გამართავს, რითაც კომიტეტის დონეზე მოსაზრებების შეჯერება დასრულდება და საბოლოოდ, ჩვენი პოზიციაც დაფიქსირდება. სექტემბრიდან როცა სესიები დაიწყება, შესაძლებელი იქნება სესიის ფარგლებში დისკუსიის განახლება. პრაქტიკულად ძირითადი პრინციპები შეჯერებულია. თუკი რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით დარჩა კითხვები, ინიციატორებს, დეპუტატებს შესაძლებლობა ექნებათ დისკუსია სასესიო ფორმატში გავაგრძელოთ. ამისთვის მზად ვართ, – განუცხადა ჟურნალისტებს ეკა ბესელიამ.

ზურაბ ჯაფარიძე: „საქართველოში მარიხუანას მოხმარება არის სრულად ლეგალური“

„გირჩის“ წევრის ზურაბ ჯაფარიძის განცხადებით, მარიხუანას მოხმარება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ლეგალიზებულია. ამის შესახებ ჯაფარიძემ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ განაცხადა.

– მინდა ყველას მოგილოცოთ ის გადაწყვეტილება, რომელიც გამოიტანა საკონსტიტუციო სასამართლომ. ამ გადაწყვეტილებით საქართველო გახდა უფრო თავისუფალი ქვეყანა. მარიხუანას მოხმარებაზე ადმინისტრაციული სასჯელი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა, რაც ნიშნავს, რომ საქართველოში მარიხუანას მოხმარება არის სრულად ლეგალური. მარიხუანას მოხმარების გამო ამ ქვეყანაში ადამიანს ვეღარ დასჯიან, – განაცხადა ჯაფარიძემ.

საქართველოში მარიხუანას მოხმარებაზე ადმინისტრაციული სასჯელი გაუქმებულია. შესაბამისი გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლომ დღეს მიიღო.

ირმა ნადირაშვილი: „სამწუხაროდ, გრიგოლ ვაშაძე უპასუხისმგებლო ადამიანი აღმოჩნდა“

– ჩემთვის ძალიან სამწუხაროა, რომ გრიგოლ ვაშაძე, ირმა ინაშვილი და ნუკრი ქანთარია ერთი და იგივე სიტყვებით საუბრობენ, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ევროპული საქართველოს“ წევრმა ირმა ნადირაშვილმა განუცხადა.

დეპუტატის შეფასებით, გრიგოლ ვაშაძემ ცალსახად დაარღვია „ევროპულ საქართველოსთან“ ე.წ. თავდაუსხმელობის შეთანხმება.

– ეს არის უპატივცემულობა შეთანხმების მიმართ, მაგრამ მე მგონია, შეთანხმების დადებაც არ სჭირდება საერთო თამაშის წესებზე შეთანხმებას, თვითონაც უნდა მიხვდე, რომ თითის გაშვერა და ტალახის სროლა საერთო პოლიტიკური წარსულისკენ არის აბსოლუტურად უღირსი და სამარცხვინო საქციელი. გარდა ამისა, პოლიტიკური ქულების დაგროვება ამ გზით, მე ვფიქრობ, ვერ გამოვა. სამწუხაროდ, გრიგოლ ვაშაძე აღმოჩნდა უპასუხისმგებლო ადამიანი, რომელიც იმდენსაც ვერ ხვდება, რომ ოპოზიციის შიგნით ასეთი კრიტიკა, ასეთი გაუაზრებელი თავდასხმა არის ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმა და „ქართული ოცნების“ თამაში. ჩემთვის ძალიან სამწუხარო მოულოდნელობაა, რომ გრიგოლ ვაშაძე, ირმა ინაშვილი და ნუკრი ქანთარია ერთი და იგივე სიტყვებით საუბრობენ, – განაცხადა ნადირაშვილმა.

რაც შეეხება „ევროპული საქართველოს“ გეგმებს, ნადირაშვილის თქმით, ეს გეგმები არ ითვალისწინებს ოპოზიციური კანდიდატების ლანძღვას და გრიგოლ ვაშაძის საქციელის მიუხედავად, „ევროპული საქართველო“ შეთანხმების ერთგული რჩება.

შეგახსენებთ, რომ ოპოზიციური გაერთიანება „ძალა ერთობაშიას“ საპრეზიდენტო კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ „ევროპული საქართველო“ კახეთში ამომრჩევლებთან შეხვედრისას გააკრიტიკა.

– ძალიან „ევროპულ საქართველოს“ რომ ეძახიან თავის თავს, ყველაფერი უბედურება რომ მათი გაკეთებულია და ახლა პარტიიდან გავიდნენ და ჰგონიათ, ხალხს დაავიწყდება ვისი გაკეთებულია ეს უბედურება, შეცდომები და დანაშაული, – განაცხადა ვაშაძემ.

შეგახსენებთ ასევე, რომ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ევროპულმა საქართველომ“ ბრიუსელში, ევროპის სახალხო პარტიის (EPP) შუამავლობით, 3– პუნქტიანი შეთანხმება გააფორმეს. შეთანხმება გულისხმობს მეორე ტურში გასულ ერთმანეთის საპრეზიდენტო კანდიდატების მხარდაჭერას, კამპანიის დროს ერთმანეთზე შეტევის და კრიტიკისგან თავშეკავებას და არჩევნების პირველ და მეორე ტურებში ამომრჩევლის მაქსიმალურად მობილიზებას.

გრიგოლ ვაშაძე: „ძალიან „ევროპულ საქართველოს“ რომ ეძახიან თავს, ყველა უბედურება მათი გაკეთებულია“

– ძალიან „ევროპულ საქართველოს“ რომ ეძახიან თავის თავს, ყველაფერი უბედურება მათი გაკეთებულია, შემდეგ გავიდნენ პარტიიდან და ამათ ჰგონიათ ხალხს ავიწყდება თუ ვისი გაკეთებულია ეს შეცდომები და დანაშაულებები, – ამის შესახებ 10 ოპოზიციური პარტიისგან შემდგარი გაერთიანების „ძალა ერთობაშია“ საპრეზიდენტო კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ კახეთში, სოფელ ხოდაშენში მოსახლეობასთან შეხვედრაზე განაცხადა.

მისი თქმით, „ევროპულმა საქართველომ“ და „ქართულმა ოცნებამ“ ქუთაისში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე უამრავი ფული დახარჯეს, მაგრამ მაინც ვერ აიცილეს თავიდან მეორე ტური.

– შარშან, ქუთაისში, ადგილობრივ არჩევნებში მომიწია მონაწილეობის მიღება, იმდენი ფული დახარჯეს, ისე გააყალბეს... თუმცა, ამ, არც ვიცი რა ვუთხრა, ძალიან „ევროპულ საქართველოს“ რომ ეძახიან თავის თავს, ყველაფერი უბედურება მათი გაკეთებულია, შემდეგ გავიდნენ პარტიიდან და ამათ ჰგონიათ ხალხს ავიწყდება თუ ვისი გაკეთებულია ეს შეცდომები და დანაშაულებები. „ევროპულმა საქართველომ“ და „ქართულმა ოცნებამ“ იმდენი ფული დახარჯეს, მაგრამ მაინც ვერ აიცილეს თავიდან მეორე ტური. თუმცა, ისე გააყალბეს არჩევნები ამ „კლოუნადაში“ მონაწილეობის მიღება შეუძლებელი იყო, – განაცხადა ვაშაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

24 აგვისტოს ოსები ყაზბეგის დაბრუნებას ოფიციალურად მოითხოვენ

მორიგი რუსული პროვოკაცია

შორენა მარსაგიშვილი

რუსი ოკუპანტები და მათი საყმო – ცხინვალის მთავრობა საინტერესო აგვისტოს გვპირდებიან. ოსი ხალხის ყრილობა საქართველოსგან ოფიციალურად მოითხოვს აღმოსავლეთ ოსეთის დაბრუნებას.

ნიჭიერმა ოსმა პოლიტიკოსებმა დიდი ფიქრის შემდეგ დაადგინეს, რომ ყაზბეგის რაიონი აღმოსავლეთ ოსეთი ყოფილა. ამ ლოგიკით თავისუფლად შეიძლება ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა – ალანიას ჩრდილოეთ სამაჩაბლო ვუწოდოთ, მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას არც ამის შნო აქვს და არც ხალისი.

ცხინვალში გამომავალი გაზეთ „რესპუბლიკის“ ცნობით, 24 აგვისტოს ოსი ხალხის ყრილობაზე ე.წ. აღმოსავლეთ ოსეთის საკითხის დაყენება და საქართველოს მიერ აღმოსავლეთ ოსების მიწების ოსებისთვის დაბრუნების მოთხოვნის დაყენება იგეგმება.

– ეს ტერიტორიები, რომლებიც სამხრეთ ოსეთს აღმოსავლეთის მხრიდან ებჯინება, ადრე ოსებით იყო დასახლებული, თუმცა ამჟამად დაცარიელებულია და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა მოქცეული. 24 აგვისტოსთვის დანიშნულ ყრილობაზე ოსი ხალხი ვალდებულია, აღმოსავლეთ ოსეთის საკითხი დააყენოს. აღმოსავლეთ ოსეთი ხომ არანაირად არ არის ასახული საერთო ოსურ რეალობაში, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი.

ყველა რატომღაც მდუმარედ დათანხმდა იმას, რომ იქ ჩვენი იურისდიქცია არ ვრცელდება. მეტიც, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ეროვნულ ყრილობებზე არასოდეს წამოწეულა ისეთი ცნება, როგორიცაა დელეგატები აღმოსავლეთ ოსეთიდან. მთელი ბოლო პერიოდის განმავლობაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იგი ნაცვლდებოდა მღვრიე ცნებით „ყაზბეგის რაიონის მკვიდრი ოსები“. როგორც ჩანს, 24 აგვისტოს ყრილობაზე ეს შეცდომა გამოსწორდება, – ვკითხულობთ სტატიაში.

ოკუპანტების საყმო აღმოსავლეთ ოსეთის თემაზე მიმდინარე წლის დასაწყისიდან გადაბჟირდა. ცხინვალმა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების 44-ე რაუნდის შემდეგ განაცხადა, რომ ქართული მხარისგან „აღმოსავლეთ ოსეთში მდებარე ოსური ისტორიულ-კულტურული ძეგლების მდგომარეობის შესასწავლად ოსების დაშვება მოითხოვა“.

ოსთა არაკები აღმოსავლეთ ოსეთზე ერთი შეხედვით სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ რუსული პოლიტიკის თავისებურებებს და ჩვენ უახლეს ისტორიას თუ გადავხედავთ, საქმე სერიოზულად არის.

ხევის ისტორიის მკვლევარი ვაჟა მარსაგიშვილი მიიჩნევს, რომ ქართულმა მხარემ ამ დაუსაბუთებელ პრეტენზიებზე დასაბუთებული პასუხი უნდა გასცეს.

რატომ უნდა ამოიღონ ქართველმა პოლიტიკოსებმა და პოლიტოლოგებმა ხმარებიდან ტერმინი სამხრეთ ოსეთი და სამაჩაბლო, როგორ დასახლდნენ თრუსოს ხეობაში ოსები, რა მასალები უნდა მიაწოდოს საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო თანამეგობრობას, რატომ უფრთხილდებიან ვლადიკავკაზში ქართულ სკოლას, რა დამოკიდებულება აქვთ მათ ქართველებთან? – ამის შესახებ **ვაჟა მარსაგიშვილი** „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– თქვენ დიდი ხანია ხევის ისტორიას იკვლევთ. საიდან და როგორ აღმოჩნდა ყაზბეგის ნაწილი ე.წ. აღმოსავლეთ ოსეთის შემადგენლობაში?

– ყაზბეგის ნაწილი ვერაფრით იქნება აღმოსავლეთ ოსეთი იმიტომ, რომ აღმოსავლეთ ოსეთი ბუნებაში არ არსებობს. აღმაშფოთებელია, როცა სეპარატისტები ქართულ მიწებს ოსურად ასაღებენ, მაგრამ არანაკლებ მძიმეა, როდესაც ქართველი პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები იყენებენ ტერმინს – სამხრეთ ოსეთი. სამწუხაროდ, მათ არც საქართველოს ისტორია იციან კარგად და არც გეოგრაფია.

ყველამ კარგად ვიცით, რომ სამხრეთ ოსეთი ბოლშევიკებმა მოიგონეს და ძირძველ ქართულ მიწას დაარქვეს. დროა, ეს ტერმინი დავივიწყოთ და კარგი იქნება თუ ცხინვალის რეგიონს არც სამაჩაბლოდ მოვიხსენიებთ.

– სამაჩაბლოდ რატომ არ უნდა მოვიხსენიოთ?

– ცხინვალის რეგიონი, რომელიც ახლა რუსების მიერ არის ოკუპირებული, შედგება 5 სათავადოსგან. ესენია: სავახტანგო, საფალავანდიშვილო, საფავლენიშვილო, საწერეთლო და სამაჩაბლო.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც ცხინვალის რეგიონში სიტუაცია დაიძაბა, ვიღაც დილეტანტმა უწოდა იქაურობას სამაჩაბლო. ეს ტერმინი ყველამ აიტაცა და ბევრი ამ რეგიონს დღემდე ასე მოიხსენიებს.

კარგად მახსოვს, რა გვიპასუხა 90-იან წლებში ერთმა „სწავლულმა“ ოსმა – სამაჩაბლო გინდათ, აი მანდ არის პატარა სათავადო, ეგ თქვენი იყოს და დანარჩენი ჩვენ დაგვტოვეთო. ამიტომ ნუღარ გამოვიყენებთ ამ ტერმინს, ისევე, როგორც სამხრეთ ოსეთს. ბუნებაში არანაირი სამხრეთ ისეთი არ არსებობს. აღარაფერს ვამბობ აღმოსავლეთ ოსეთზე.

– აღმოსავლეთ ოსეთი საერთოდ რა უბედურებაა? ზოგიერთი ოსი „სწავლული“ იმასაც ამტკიცებს, რომ ყაზბეგი მათი იყო და იქ მოხევეები მე-19 საუკუნეში გამოჩნდნენ.

– როგორც უკვე გითხარით, აღმოსავლეთ ოსეთი არ არსებობს, რაც შეეხება იმას, რომ ყაზბეგში მოხევეები მე-19 საუკუნემდე არ ცხოვრობდნენ, ამის ლაპარაკი სირცხვილია. ყაზბეგი რომ ყოველთვის საქართველო იყო და იქ მოხევეები ცხოვრობდნენ, ეს ოსებმა ყველაზე უკეთ იციან.

– აბა რატომ აყენებენ პრეტენზიებს?

– ასეთი პრეტენზიებით მხოლოდ კონკრეტული ადამიანები გამოდიან. მათ რუსეთი მართავს. ოსების დიდი ნაწილი სულ არ ფიქრობს ისე, რომ ყაზბეგი აღმოსავლეთ ოსეთია.

ოსებთან საკმაოდ მჭიდრო კავშირი მაქვს და კარგად ვიცი მათი განწყობა, ამის მიუხედავად, საჭიროდ მიმაჩნია, რომ „სწავლულების“ და სეპარატისტების პრეტენზიებს სათანადო პასუხი გაეცეს.

– პასუხის გაცემას ხელისუფლება რატომღაც არ ჩქარობს.

– ეს დუმილი კარგი არ არის. არგუმენტები და ისტორიული ფაქტები რომ არ გვქონდეს, კიდევ გავიგებდი მათი დუმილის მიზეზს, მაგრამ ახლა ნამდვილად ვერ ვხვდები, რატომ არ იღებენ ხმას.

– სეპარატისტებს განსაკუთრებული პრეტენზიები თრუსოს ხეობის მიმართ აქვთ. აქ საიდან გაჩნდნენ ოსები? ისტორიული წყაროების მიხედვით, ეგენი მანდ არცთუ შორეულ წარსულში გამოჩნდნენ.

– ოსების გამოჩენა დვალების გაქრობას უკავშირდება. დვალები თერგის, ალაგირის, არდონის და ლიახვის ხეობების სათავეებთან სახლობდნენ. მაგ ტერიტორიას ბუდე დვალეთი ერქვა. დვალები ქართულ ტომს წარმოადგენდნენ და მათ, როგორც მეგრელებს და სვანებს, ჰქონდათ თავისი სალაპარაკო ენა.

დროთა განმავლობაში მოხდა ოსების ამოწევა თრუსოს სათავეებთან, სადაც დვალები სახლობდნენ. ამ ხალხთან მოხდა დვალების ასიმილირება.

– დაიპყრეს ოსებმა დვალეთი?

– ეს არ იყო დაპყრობა. მოხდა ოსებთან დვალების ასიმილაცია. გაოსებული დვალები ალაგირის და არდონის სათავეებზე დაეშვნენ საცხოვრებლად. დვალების ნაწილი თრუსოს და ლიახვის ხეობებში გადავიდა. მათმა ნაწილმა რაჭისკენ აიღო გეზი.

ოსების ჩამოწევა თრუსოსკენ მე-17 საუკუნის ბოლოს მოხდა. თავიდან 4 თუ 5 ოსური სოფელი დაარსდა ამ ხეობაში. მერე სოფლების რაოდენობა გაიზარდა და სადღაც კობთან გამოვიდნენ. ეს უკვე მე-19 საუკუნეში ხდება.

მინდა ყველამ კარგად გაითავისოს, რომ მე-17 საუკუნემდე თრუსოს ხეობაში ოსის ჭაჭანება არ ყოფილა.

– „სწავლული“ ოსები რა კოშკებით და სასაფლაოებით ამტკიცებენ, რომ თრუსო ჭეშმარიტად ოსური მიწაა?

– იმ კოშკებით, რაც მათ ააშენეს. თრუსოში როცა გადმოვიდნენ საცხოვრებლად, კოშკები ააშენეს და სასაფლაოებიც გააკეთეს. სასაფლაოებზე აპელირება არ შეიძლება. ეს არაფერს არ ამტკიცებს. ძალიან ბევრი ქართველი განისვენებს ჩრდილოეთ ოსეთის სასაფლაოებზე და ეს იმას ხომ არ ამტკიცებს, რომ ეს ალანია საქართველოს ნაწილია.

– „სწავლულები“ და ექსტრემისტული ორგანიზაცია „დარიალი“ ამტკიცებენ, რომ ქართველებმა ოსები ყაზბეგიდან ძალით გაყარეს. „დარიალის“ წევრები ჩივიან, რომ მათ წინაპრების საფლავების მონახულების უფლებასაც არ აძლევენ და საქართველოს ტერიტორიაზე არ უშვებენ.

– საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ იმ პირებს არ უშვებენ, რომლებიც ანტიქართულ განცხადებებს აკეთებენ და პროვოკაციების მოწყობა სურთ. სხვა ოსებს საქართველოში შემოსვლაზე არანაირი პრობლემა არა აქვთ. ყოველდღიურად ასეულობით ოსი გადაკვეთს საქართველოს საზღვარს და მათ არანაირი სირთულეები არ ექმნებათ.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ წავიდნენ ოსები თრუსოს ხეობიდან, ამას წინ არანაირი კონფლიქტი არ უძღოდა. ისინი ჯერ კიდევ მაშინ წავიდნენ, სანამ ცხინვალის რეგიონში სიტუაცია გამწვავდებოდა. თრუსოში საკმაოდ მძიმე კლიმატური პირობები იყო. ამ ხეობაში ბუნებრივი აირი და დენი დღემდე არ არის შეყვანილი. თრუსოში მცხოვრები ოსებიც ადგნენ და ჩრდილოეთში წავიდნენ

დარჩენილები კონფლიქტის შემდეგ წავიდნენ. ისე დატოვეს იქაურობა, ერთი პატარა კონფლიქტიც კი არ ყოფილა. არავის არ უთქვამს, რომ თრუსო ოსური მიწა იყო.

– სამაგიეროდ, ახლა ამტკიცებენ „სწავლულები“, რომ ქართველებმა საწყალი ოსები განვდევნეთ. ამ საჩივრით მათ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც კი მიმართეს. ჩვენც რომ მივაწვდინოთ მათ ხმა, არ შეიძლება?

– ხმა რომ მიაწვდინო, ჯერ საპასუხოდ რამე უნდა მოამზადო. ჩვენი პოლიტიკოსები ისეთი უცოდინარები არიან, ქართულ მიწას სამხრეთ ოსეთად მოიხსენიებენ. თავად თუ ეზარებათ დაწერა, შეუძლიათ ვახტანგ ითონიშვილის წიგნი „დვალები და დვალეთი“ თარგმნონ. ეს არის უნიკალური ნაშრომი. ის ყველა კითხვაზე სცემს პასუხს. თან არგუმენტებით. ამ ნაშრომიდან კარგად ჩანს, როგორ ჩამოვიდნენ ოსები საქართველოს ტერიტორიაზე.

კარგი იქნება, თუ ჩვენი ხელისუფლება ასეთი ტიპის წიგნებს ინგლისურ და რუსულ ენებზე თარგმნის. საერთაშორისო თანამეგობრობას ასე გავაგებინებთ სიმართლეს.

ასეთ თემებზე დაწერილი ლიტერატურა აუცილებლად უნდა გავაგზავნოთ ჩრდილოეთ კავკასიაში.

– იქ რატომ უნდა გავაგზავნოთ?

– ჩვენი ამბები იქ ძალიან აინტერესებთ, განსაკუთრებით ინგუშებს. მათ „ქართლის ცხოვრება“ ქართველებზე უკეთ იციან.

საქართველოს ისტორია ძალიან კარგად იციან ოსებმაც. თავშიც გითხარით, რომ მათ ყველაზე უკეთ იციან, რომ თრუსოს ხეობა ყოველთვის საქართველოს ნაწილი იყო. აღმოსავლეთ ოსეთზე რუსეთის გაქეზებული ექსტრემისტები და „სწავლულები“ აპელირებენ. ოსურ საზოგადოებაში სულ სხვა განწყობაა.

– ეს სხვანაირი განწყობა რაში გამოიხატება?

– ბევრ რამეში. მარტო ვლადიკავკაზის ქართული სკოლა რად ღირს. ამ სკოლას წელს 130 წელი უსრულდება. ის 1888 წლის 23 ნოემბერს გაიხსნა. ამ სკოლის გახსნის ინიციატორი კოსტა ხეთაგუროვი იყო.

სკოლის გახსნიდან 10 წლის შემდეგ, ვლადიკავკაზში ამოქმედდა წმინდა ნინოს სახელობის ქართული სამლოცველო. იქ მოინათლა ჩვენი პატრიარქი.

მინდა თქვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართულის გარდა, სხვა ნაციონალური სკოლები არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ძალიან ცოტა ბავშვი დადის, მის დახურვაზე არავინ ლაპარაკობს. დაფინანსება კიდევ უფრო გაუზარდეს.

როდესაც ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებები მიდიოდა, ექსტრემისტებს ჰქონდათ ამ სკოლაზე თავდასხმის მცდელობა. მაშინ ქართულ სკოლას ოსები იცავდნენ, ღამეებს ათენებდნენ.

ეს და კიდევ ბევრი ფაქტორი მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ოსებში არაა ისეთი განწყობა, როგორც ამას რუსები და რამდენიმე „სწავლული“ ოსი ხატავს. ამის მიუხედავად, აუცილებელია ამ ხალხთან დიალოგის წარმოება.

გიორგი ვაშაძე: „მარგველაშვილისგან საერთოდ რას უნდა ველოდოთ, აღარ ვიცი“

„ოცნება“ ფიქრობს, რომ ძალიან რთული არჩევნები იქნება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კოალიცია „ძალა ერთობაშია“-ს წევრი **გიორგი ვაშაძე** პასუხობს.

– ბატონო გიორგი, ოპოზიციის დიდი ნაწილი აკრიტიკებს პრეზიდენტ მარგველაშვილს, რომ იგი საგრძნობლად აჭიანურებს არჩევნების თარიღის გამოცხადებას, ხელისუფლებას გაურიგდა და მის წისქვილზე ასხამს წყალსო. თქვენც ასე ფიქრობთ?

– დიახ, ასეა. ძალიან სამწუხაროა, რომ მარგველაშვილი ხელისუფლების და „ქართული ოცნების“ თამაშს თამაშობს, ისევე, როგორც აჭარის შემთხვევაში იყო. ისევ იგივე თამაშს აგრძელებს. უკვე კრიტიკულ ზღვრამდე მივიდა არჩევნების თარიღის დასახელების დრო და ამ ორ-სამ დღეში უნდა დაასახელოს.

– რა თამაშის წესებია ეს, რა ხდება?

– ძალიან მარტივია, „ქართული ოცნება“, როგორც თვითონ ივანიშვილმა თქვა, საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული კანდიდატთან დაკავშირებით, თუ რა სტრატეგიით წავლენ ამ არჩევნებში. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტი მათი თხოვნით არ იღებს გადაწყვეტილებას არჩევნებთან დაკავშირებით.

– ანუ როდესაც პრეზიდენტი გამოაცხადებს თარიღს, „ოცნებასაც“ უნდა ჰყავდეს კანდიდატი?

– როგორც მინიმუმ, თარიღის დასახელებამდე ჩამოყალიბებულები რომ იყვნენ კანდიდატთან დაკავშირებით.

– რა ხდება დღეს „ოცნებაში“, რატომ ვერ ჩამოყალიბდნენ?

– „ოცნება“ არის ძალიან კრიტიკულ სიტუაციაში. „ოცნების“ მიმართ და ბიძინა ივანიშვილის მიმართ არის უკიდურესად კრიტიკული განწყობა საზოგადოებაში და, შესაბამისად, ფიქრობენ, რა სტრატეგია იქნება მათთვის უფრო მომგებიანი. თავის გამოსვლაში ბიძინა ივანიშვილმა ისიც კი დაუშვა, რომ შესაძლებელია, ოპოზიციონერმა კანდიდატმა გაიმარჯვოს ამ არჩევნებში. ეს არის ზუსტად გამოძახილი ხალხის განწყობის, რომელიც ქვეყანაშია.

– ოპოზიციურ კანდიდატში მათი სატელიტი პარტიები იგულისხმა?

– არა, მან კარგად იცის, რომ სატელიტ პარტიებს რაც უნდა ფული აძლიოს, ისინი დიდ რეიტინგს ვერ აიღებენ. აქ მთავარი შიში არის გაერთიანებული ოპოზიციის, ანუ ჩვენი კანდიდატის – გრიგოლ ვაშაძის.

– კეთდება შეფასებები, რომ ასეთი კარგი შანსი ოპოზიციას „ოცნების“ მმართველობის პირობებში არ ჰქონია, რაც ახლა ამ არჩევნებზე ეძლევა. რატომ, რა შეიცვალა? კარგავს ძალაუფლებას „ქართული ოცნება“?

– ხალხმა გადაწყვიტა, რომ ეს მთავრობა აუცილებლად უნდა გაუშვას, ეს არის დროის საკითხი, როდის მოხდება ეს ყველაფერი. უკიდურესად რთულია, დამძიმებულია ეკონომიკური და სოციალური ფონი ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, რთულია „ქართული ოცნების“ მდგომარეობაც. თვითონ გამოვიდა ივანიშვილი და თქვა, რომ ქვეყანა უფრო გავაღარიბეთ, უფრო მეტი ვალი ავიღეთ და კორუფციამ მოიმატა ქვეყანაში. ეს სამი საკითხი თვითონ დაასახელა და რატომ დაასახელა, იცით?!

– რატომ?

– კონსულტანტებმა ურჩიეს, რომ ჯობია, შენ აღიარო პრობლემებიო. თორემ რომ ეთქვა, არც კორუფციაა, ეკონომიკა ვითარდება და გაჭირვება მცირდება ქვეყანაშიო, გაცილებით მეტი კრიტიკა იქნებოდა და გაცილებით დიდი ნეგატივი იქნებოდა მასთან მიმართებაში.

– გადაბრალებას ჰქონდა ადგილი, განტევების ვაციც მოძებნა.

– ესეც საარჩევნო სტრატეგიის და ესეც მათი პოლიტიკური სტრატეგიის ნაწილია, რომ ვინმეს ხომ უნდა დააბრალონ ის კატასტროფა, რაც ხდება ქვეყანაში და დააბრალეს კვირიკაშვილს.

– ეს რამდენად უშველით?

– მე ვფიქრობ, რომ ეს არ უშველით. ყველამ ყველაფერი იცის! კვირიკაშვილი იყო ჩვეულებრივი ჭანჭიკი ბიძინა ივანიშვილისთვის და როცა აღარ დაჭირდა, გაუშვა და ყველაფერზე მას შეაწმინდა ხელები. ყველამ იცის, რომ საქართველოში ყველაფერს აკონტროლებს ივანიშვილი, მათ შორის საკუთარი სუს-ით, ყველას თვალს ადევნებს, ვინ რითია დაკავებული და ასე შემდეგ.

– კეთდება შეფასებები, რომ „ოცნებას“ ეშინია დააყენოს საკუთარი კანდიდატი. რატომ ეშინია, ფიქრობენ, რომ წააგებენ და გამოსავალი დამოუკიდებელ კანდიდატში იპოვეს?

– „ოცნება“ ფიქრობს, რომ ძალიან რთული არჩევნები იქნება. ყველა იმ მარიონეტ კანდიდატს, რომელსაც ისინი მოიაზრებენ, არავის ცალკე არანაირი რეიტინგი არა აქვს, აქვთ ძალიან დაბალი მხარდაჭერა და აქედან გამომდინარე არ უნდა, რომ რისკზე წავიდეს.

კვირიკაშვილი იყო ჩვეულებრივი ჭანჭიკი ბიძინა ივანიშვილისთვის და როცა აღარ დაჭირდა, გაუშვა და ყველაფერზე მას შეაწმინდა ხელები. ყველამ იცის, რომ საქართველოში ყველაფერს აკონტროლებს ივანიშვილი, მათ შორის საკუთარი სუს-ით, ყველას თვალს ადევნებს, ვინ რითია დაკავებული და ასე შემდეგ

ასევე ამით უნდა, რომ ნიველირება მოახდინოს საპრეზიდენტო არჩევნების, თითქოს ეს არ არის მნიშვნელოვანი არჩევნები, რომ ძალიან ცოტა ადამიანი მოვიდეს არჩევნებზე და თავისი ადმინისტრაციული რესურსით გაიყვანოს ე.წ. დამოუკიდებელი კანდიდატი.

– ექსპერტთა ნაწილის მიაჩნია, რომ არავითარ შემთხვევაში არ დათმობს „ოცნება“ პრეზიდენტის სავარძელს. თქვენ რას ფიქრობთ?

– რა თქმა უნდა, ძალიან დიდ ფულს დახარჯავენ, ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ გავიდეს დამოუკიდებელი კანდიდატი, მაგრამ მათ აქვთ გეგმა ბე.

– რაში მდგომარეობს გეგმა ბე?

– გეგმა ბე არის, რომ თუ წააგო დამოუკიდებელმა კანდიდატმა, ეს არ ჩაითვალოს „ქართული ოცნების“ წაგებად, რომ სახე შეინარჩუნონ. აი, ეს არის მათი სტრატეგია. სავარაუდოდ, სალომე ზურაბიშვილი იქნება მათი კანდიდატი, ვითომ დამოუკიდებელი, რა თქმა უნდა, ბოლო დღეებში თუ არაფერი შეიცვალა.

– თავად მარგველაშვილი თუ დააყენებს საკუთარ კანდიდატურას?

– მისგან საერთოდ რას უნდა ველოდოთ, აღარ ვიცი. არჩევნების დანიშვნასაც გვიჭიანურებს, იქ, აჭარაში ხელი მოუწერა ხელისუფლებას. მთელი ოპოზიცია გაერთიანდა, წარდგენილი იყო არმაზ ახვლედიანის კანდიდატურა და „ოცნების“ კანდიდატზე მოაწერა ხელი და შემდეგ დაცინვაც მიიღო მათგან.

– ანუ გადამწყვეტ მომენტებში მარგველაშვილი „ოცნების“ თამაშს თამაშობს?

– დიახ, ასეა. ზუსტად იგივე გააკეთა გასულ წელსაც საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, როცა მთელი ოპოზიცია შეიკრიბა პრეზიდენტთან, ხელი მოეწერა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით მოთხოვნებს, ეს არ გაიზიარა ხელისუფლებამ, მიიღო კონსტიტუცია ისე, როგორც თავად ჰქონდა გადაწყვეტილი და ამ კონსტიტუციას, ოპოზიციასთან კონსულტაციის გარეშე, ეგრევე მოაწერა ხელი მარგველაშვილმა! იქაც კი გამოიჩინა არათანმიმდევრობა და ეს იყო მართლაც საბოლოო სახის ჩვენება მარგველაშვილის.

კიდევ ერთი კომპონენტი ამ არჩევნების ზუსტად აქედან გამომდინარეა, რომ ეშინია ივანიშვილს, მარგველაშვილისნაირი მარიონეტი რომ დააყენოს, იცის, რომ ხალხი მხარს აღარ დაუჭერს. ხალხს ყელში ამოუვიდა ასეთი უსახური პრეზიდენტი, როგორიც დღეს გვყავს!

– მივა ეს არჩევნები მეორე ტურამდე?

– ჩვენ ვიბრძვით პირველ ტურში მაღალი შედეგის და პირველ ტურშივე გამარჯვებისთვის. მეორე ტურზე ვისაუბროთ პირველი ტურის მერე. საერთოდ მეორე ტურზე საუბარი ოპოზიციის მხრიდან არასწორი მგონია. ეს არის ასევე „ქართული ოცნებისთვის“ სასურველი თამაში, როცა ბევრი ოპოზიციონერი კანდიდატია და ხმების დაქაქსვა ხდება.

მათი მიზანია, არ მოხდეს კონსოლიდაცია ოპოზიციის და რაც შეიძლება ცოტა ამომრჩეველი მივიდეს არჩევნებზე და ამ ფონზე პრეზიდენტად გაიყვანოს ის, ვინც მას უნდა. სამწუხაროდ, ამ თამაშში, ნებსით თუ უნებლიეთ, ბევრი პოლიტიკური პარტია მონაწილეობს.

ანზორ აბრალავა: „ვინც უნდა აირჩიონ პრეზიდენტად, ახლანდელი კურსი არ შეიცვლება“

„მონოპოლიზმი დაძლეული არ არის“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ **ანზორ აბრალავას.**

– ამბობდით, რომ ვინც უნდა დააყენოს „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტობის კანდიდატად, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის გამო ყველა გაიმარჯვებსო. საქმე ისაა, რომ მმართველი პარტია კანდიდატს საერთოდ არ ასახელებს.

– მართლაც, ითქვა, რომ მმართველ პარტიას თავისი კანდიდატი შეიძლება არ ჰყავდეს. ეს კურსის ცვლილებას არ ნიშნავს. ვინც უნდა აირჩიონ პრეზიდენტად, ახლანდელი კურსი არ შეიცვლება. რა უნდა გადაატრიალოს პრეზიდენტმა? ვეტოს თუ დაადებს კანონპროექტებს, ვეტო დაძლევადია.

– რისი გამომხატველია ასეთი მიდგომა?

– ჩემი აზრით, არაფრის გამომხატველი არ არის და არც რაიმე შედეგს მოიტანს. ესაა დემოკრატიის ანტურაჟი და იმის ჩვენება, თითქოს მმართველი პარტია რაღაცას თმობს.

– ვთქვათ, „ქართულმა ოცნებამ“ სიტყვით დაუჭირა მხარი დამოუკიდებელ ან ვითომ დამოუკიდებელ კანდიდატს. ეს გამარჯვების გარანტია იქნება?

– ალბათ მეორე ტური გახდება საჭირო და პრეზიდენტი მაინც აირჩევა.

– პრეზიდენტი შეიძლება ნაცმოძრაობის და „ევროპული საქართველოს“ კანდიდატი გახდეს?

– არა, ეს სრულიად გამორიცხულია. თუ მათ შორის დიდი გარიგება არ არსებობს, ეს შეუძლებელია. ნაცმოძრაობის გეგმები გასაგებია. ნაციონალები ამაზე საუბრობენ თავიანთი ტელევიზიის ეკრანიდან. „რუსთავი 2“-ს სპეციალურად ვუყურებ და შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ნაცმოძრაობა არ იშლის თავის კონტრრევოლუციურ განზრახვებს, ეს ტელევიზია კი გადაქცეულია კონტრრევოლუციურ შტაბად. იქ მარტო ოპონენტების და მოვლენების კრიტიკა არ მიდის. ღიად გამოიყენება სიძულვილის ენა, მათ შორის, გასართობ გადაცემებში. პოლიტიკური შეფერილობის სატირულ თუ სერიოზულ შოუებში ხშირად გაიგონებ ისეთ ფრაზებსა და სიტყვებს, როგორიცაა, „მაგათი დედა, სულელი, უაზრო, კრეტინი, ერთ ადგილზე შემძვრალები“. სხვამ რომ ვინმე მსუბუქად გააკრიტიკოს, მაშინვე სიძულვილის ენის გამოყენებას დააბრალებენ, თვითონ კი თავი აქვთ აშვებული.

„გუბერნატორების ინსტიტუტის გაუქმებას მხარს ვუჭერ“

– დიდი გარიგება თქვენც ახსენეთ. ხალხში მითქმა-მოთქმაა. ადამიანები ამბობენ, რომ „ქართული ოცნება“ თმობს ხელისუფლებას. ხშირად გაიგონებ სიტყვა „გადაბარებას“.

– ეს არ გამოვა. ამის მთავარი ახსნა მსოფლიოში არსებულ ვითარებაშია. ნაციონალებისთვის ძალაუფლების გადაცემა რომ მოხდეს, საჭირო გახდება ძლიერი დიქტატურის დამყარება. ახლა აღარ არის მეოცე საუკუნის 70-იანი წლები, როცა, მაგალითად, ჩილეში ჩამოყალიბდა ასეთი რეჟიმი.

– იმ რეჟიმმა ცუდად დაამთავრა.

– იმას ვამბობდი, რომ მაშინაც არ იყო ესა თუ ის დიქტატურა სამუდამო. ახლა სრულიად სხვა მდგომარეობაა და ეს არ გამოვა. სააკაშვილსაც ჰქონდა პატარა დიქტატურის დამყარების მცდელობა. ეს დიქტატურა დემოკრატიული საფარველით ინიღბებოდა. დემოკრატია და ადამიანის უფლებები გახდა დიქტატურის დამალვის საშუალება. სააკაშვილს თავისი ჩანაფიქრი ბოლომდე არ გამოუვიდა და ვერც ახლა გამოუვა კონტრრევოლუცია.

მისი პროპაგანდისტები უცებ იქცნენ ადამიანებზე მზრუნველებად, არადა, მათ არც მემარცხენეობაზე აქვთ წარმოდგენა, არც მემარჯვენეობაზე და არც ოდესმე საზოგადოებაზე უზრუნიათ. სხვის ჯიბეში ფულს ითვლიან. კორუფციაზე უნდა ილაპარაკონ იმათ, ვისაც ამაზე ხმა ამოეღება. ნაცმოძრაობის ჩინოსნები თვითონ აკეთებდნენ ფულს!

– რამდენიმე გუბერნატორის გადაყენებამ ბევრს გაგვახსენა, რომ გუბერნატორის ინსტიტუტს საკონსტიტუციო კურიოზს უწოდებენ. ეს არის გაუგებარი ბიუროკრატიული რგოლი ცენტრალურ ხელისუფლებასა და თვითმმართველობას შორის. რა საჭიროა ამ აპარატზე ფულის ხარჯვა?

– გუბერნატორების ინსტიტუტის გაუქმებას მხარს ვუჭერ. ამაზე აქტიური საუბარი იყო შევარდნაძის დროს. ეს თანამდებობა მისი შემოღებულია. ყველაზე პარადოქსული სახე გუბერნატორებმა საკაშვილის რეჟიმის დროს მიიღეს. ისინი ოკუპანტებს 2008 წელს სუფრებს უშლიდნენ, მძღოლობას და გიდობას უწევდნენ!

ისინი ქართული გვარების მქონე კონდოტიერები იყვნენ. კონდოტიერები წარმოადგენდნენ უცხოელებს, რომლებიც გამორჩენისათვის ნებისმიერ მოქმედებას ჩაიდენდნენ. ასეთი გუბერნატორები ჰყავდა სააკაშვილს. დღევანდელები მტერს არ მოუძღვებიან, მაგრამ მათზე და მათ აპარატებზე დიდი თანხები იხარჯება, გაკეთებული საქმე არ ჩანს, ზოგი უკანონობასაც არ ერიდება. მათი შენახვა ზედმეტი ხარჯია.

– ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებას პრემიერი ბახტაძე სხვა რგოლებში დაგვპირდა, მაგრამ არ ვიცით, როდის მოხდება ეს.

– შედეგის მისაღწევად ხარჯების შეკვეცა არ არის მთავარი. შეიძლება რესურსები გაზარდო, ან იგივე დატოვო, მაგრამ ეფექტიანობა აამაღლო და ხელშესახები მიღწევები გქონდეს.

– ეს გასაგებია, მაგრამ რეგიონებში, სამინისტროებში, პარლამენტში, დედაქალაქის მერიასა თუ საკრებულოში შტატიანი და უშტატო თანამშრომლების რიცხვი ხელოვნურად და რეკორდულად არის გაზრდილი. ისინი ჩვენი ჯიბეებიდან ფინანსდებიან. ბევრი მოხელე საერთოდ არაფერს აკეთებს.

– დიახ, ეს პრობლემაა. ამის თავიდათავი უმუშევრობაშია. ქვეყანაში არ არის განვითარებული მცირე და საშუალო ბიზნესი. ამიტომ, საბიუჯეტო სამსახური გახდა დასაქმების მთავარი ადგილი. მცირე და საშუალო ბიზნესის წინსვლას ხელს უშლის მონოპოლიზმი. მონოპოლიზმი დაძლეული არ არის. ამის მოსაგვარებლად აუცილებელია ინტერესთა კონფლიქტის არდაშვება და არაპროფილური საქმიანობის აკრძალვა.

საამისოდ კანონების შემუშავება-მიღებას ძალიან ცოტა დრო უნდა. ეს უნდა გააკეთონ მცოდნე, პატიოსანმა და პატრიოტმა კადრებმა. ასეთი ძალები ფაქტობრივად გაანადგურეს. ამიტომ ვართ იმ კადრების ხელში, რომლებიც ყველაფერს კადრულობენ. ყველაფრის მკადრებელ კადრებს ქვეყანა და ხალხი არაფრად უღირთ.

ტექნიკურ უნივერსიტეტში ოჯახურ ძალადობასა და ბავშვთა უფლებებზე საკანონმდებლო წინადადებით გამოდიან

„გვინდა ხელისუფლებასა და მეცნიერებს შორის ჩატეხილი ხიდი აღვადგინოთ“

ნათია ხურცილავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე სამეცნიერო პროექტებზე საუბრობს.

გიორგი გორაძე, ასოცირებული პროფესორი:

– ჩვენი ფაკულტეტი პოსტსაბჭოთა სივრცეში უპრეცედენტო პროექტს ახორციელებს. ამ პროგრამის გავლის შემდეგ ჩვენ სტუდენტებს ორი კვალიფიკაცია ექნებათ: სამართლისა და ინჟინერიის. ინჟინერიის სხვადასხვა დარგებზეა საუბარი – კომპიუტერული ინჟინერია, სამშენებლო ინჟინერია, ტრანსპორტი და ენერგეტიკა. ეს პროგრამები ყველაზე კარგად განვითარებული ავსტრალიაში აღმოჩნდა. ამიტომ, ჩვენ დავუკავშირდით ავსტრალიის წამყვან ტექნოლოგიურ უნივერსიტეტებს. სწორედ ამ მიზნით ავსტრალიის სამ ცნობილ უნივერსიტეტში ვიყავით ჩასული: სიდნეის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, სამხრეთ უელსის უნივერსიტეტში და მელბურნის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში. ამ უნივერსიტეტებში ეს პროგრამები ძალიან პოპულარულია, ვინაიდან სტუდენტი, რომელიც ამ პროგრამას გადის, მსხვილი კორპორაციების მიერ ძალიან მოთხოვნადი ხდება და არა მხოლოდ მოთხოვნადი, არამედ მაღალ მენეჯმენტში იკავებს პოზიციას.

რატომ იყო მნიშვნელოვანი ჩვენთვის ამ უნივერსიტეტებთან შეხვედრა? ჩვენ ამ შეხვედრებმა მოგვცა: ერთი, ჩამოვყალიბდით თუ რა მიმართულებით უნდა ვიაროთ, თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით და მეორე, ამ უნივერსიტეტებთან ჩვენს ფაკულტეტს ექნება მჭიდრო თანამშრომლობა და კავშირი. ამ უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი აპირებს საქართველოში, ჩვენს უნივერსიტეტში ჩამოსვლას. ასევე, მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ ლიტერატურის შექმნაში დაგვეხმარონ. საავტორო უფლებების დაცვით ვთარგმნით ამ უნივერსიტეტების ლიტერატურას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, ამ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მასტერ-კლასებს ჩაატარებენ ჩვენს უნივერსიტეტში. ჩვენი მიზანია, რომ იქაური გამოცდილი და ძალიან სახელოვანი პროფესურა ჩართოთ ჩვენს სასწავლო პროცესში, რაც, ვფიქრობ, მართლაც ძალიან ღირებული იქნება ჩვენი სტუდენტებისთვის.

ასევე, ეს უნივერსიტეტები მზად არიან, ქართველი პროფესორებიც მიიღონ თავიანთ უნივერსიტეტებში ერთობლივი სამეცნიერო კვლევების საწარმოებლად და გადამზადების მიმართულებითაც მზად არიან დახმარება აღმოგვიჩინონ. ფაქტიურად ეს გახლავთ ყოვლისმომცველი შეთანხმება, რაც სწავლისა და სწავლების პროცესს ეხება.

ეს ყოველივე მოგვცემს ერთგვარ ბაზას, რომ პროგრამა, რომელზეც საუბრის დასაწყისში მოგახსენეთ მაღალ დონეზე განხორციელდეს, რაც არ იქნება მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის, აქ საუბარია საქართველოს ფარგლებს გარეთ დამსაქმებლების დაინტერესებაზეც, საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენტუნარიან პროფესიონალზე.

სოფიო დემეტრაშვილი, ასისტენტ პროფესორი:

– ჩვენი პროექტი ბავშვთა უფლებებს მოიცავს. ამ პროექტის ფარგლებში სკოლებში ვაპირებთ შესვლას განათლების სამინისტროსთან აქტიური ჩართულობით. არა მხოლოდ დედაქალაქის სკოლებს მოიცავს ეს პროექტი, არამედ რეგიონის სკოლებსაც, რომ ბავშვებმა თავიანთი უფლებების შესახებ მეტი ინფორმაცია მიიღონ. პროექტის დასკვნითი ნაწილი იქნება სახელმძღვანელოს გამოცემა, რომელიც, ცხადია, კვლევაზე იქნება დაფუძნებული.

მარიამ ჯიქია, სამართლის დოქტორი, პროფესორი:

– მე ვხელმძღვანელობ ორ პროექტს: ერთი არის კემბრიჯის გამომცემლობის წიგნი. კემბრიჯის უნივერსიტეტისგან მივიღეთ საავტორო უფლებების დაცვით წიგნის თარგმნის ნებართვა – „საერთაშორისო სამართალი“ და „საერთაშორისო ურთიერთობები“. ამ წიგნის თარგმნის მიზანი არ არის მხოლოდ სასწავლო ლიტერატურის გამდიდრება. საინტერესო არის ის, რომ ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების გამდიდრებასაც ემსახურება და საჯარო სამართლის კუთხით, მაღალი დონის წიგნიც გვექნება. დაახლოებით 500 ერთეულის ქართულ ენაზე გამოქვეყნების უფლება მოგვცეს. წიგნი 700 გვერდს მოიცავს. მეორე პროექტი, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ეხება. საუბარია ჩვენი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას. ჩვენი პროექტი სამეცნიერო კუთხით ემსახურება იმ საკანონმდებლო ცვლილებების გატარებას, რომელიც დაგეგმილია. ამ პროექტის ფარგლებში საკანონმდებლო წინადადებებიც გვექნება.

სოფიო მიდელაშვილი, ასოცირებული პროფესორი:

– ჩვენი პროექტი ეხება საერთაშორისო კონფლიქტებსა და მათ ანალოგიებს ჩვენს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებთან. კონკრეტულად კი, ამ პროექტის ფარგლებში გამოვეცით მონოგრაფია, რომელიც ჰონკონგი-ჩინეთის კონფლიქტს ეხება, სადაც აფხაზეთის კონფლიქტის ჭრილშია პრობლემა დანახული. ასევე, ჩვენი შესწავლის საგანი იყო იტალიისა და სამხრეთ ტიროლის ურთიერთობა, ცხადია, ასევე ჩვენი კონფლიქტების ჭრილში. მეორე მონოგრაფია ეძღვნება შოტლანდიის მაგალითს. მიმდინარე პროექტი კი ბოსნია-ჰერცოგოვინას მაგალითს ეხება. ასევე, ვმუშაობთ ოკუპირებული რეგიონებისთვის შეთავაზებათა პროექტზე.

მაია ყიფიანი, პროფესორი:

– ოჯახში ძალადობის პრობლემები არის ჩვენი კვლევის საგანი. ამ მიმართულებით კვლევები ჩავატარეთ, გასულ წელს ოჯახში ძალადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გვქონდა. ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ კვლევები ჩაგვეტარებინა და მეცნიერულ დონეზე გვემსჯელა რა იწვევს ოჯახში ძალადობას. შევისწავლეთ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები. ძალიან საინტერესო კვლევა გამოგვივიდა, აღმოჩნდა, რომ სამწუხაროდ, ქალთა დისკრიმინაციას ძალიან დიდი ისტორია აქვს. შევიმუშავეთ საკანონმდებლო წინადადებები კვლევებზე დაყრდნობით და მზად ვართ საკანონმდებლო ორგანოს შევთავაზოთ. მთელ ამ კვლევებში სტუდენტები თავად იყვნენ ჩართულები.

თამარ ბარამია, სამართლის მაგისტრი:

– სამეცნიერო კვლევა, სამაგისტრო პროგრამის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მისასალმებელია, რომ ამაში ფაკულტეტი ხელს გვიწყობს. სტუდენტი არა მხოლოდ მუშაობს იმ სამაგისტრო თემაზე, რომელსაც ის ირჩევს, არამედ თვალსაწიერს იფართოვებს სწორედ ამ სამეცნიერო პროგრამების მეშვეობით. რამდენიმე პროექტში ვარ ჩართული. თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია ზუსტად იმ კუთხით, რომ პირველ რიგში უნარ-ჩვევებს გვიყალიბებს, რაც სამეცნიერო კვლევისთვის არის მნიშვნელოვანი.

ირაკლი გაბისონია, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი:

– ჩვენს ფაკულტეტზე 30-ზე მეტი სამეცნიერო პროექტი მოქმედებს. თავად პროექტის ხელმძღვანელებმა უკვე აღნიშნეს, თუ რაოდენ აქტუალურია ის საკითხები, ის კვლევები, რასაც პროექტი მოიცავს. რასაკვირველია, ეს არის სისხლის-სამართლის მიმართულება, საგამოძიებო სამართალი, მტკიცებითი სამართალი, საინფორმაციო სამართალი, განათლების სამართალი, მედია სამართალი, კონფლიქტებთან, გენდერთან დაკავშირებით. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პროექტები. ამ პროექტის ფარგლებში ხდება მეცნიერული კვლევები და ამ გზით პრობლემის სიღრმისეული შესწავლა. შესაბამისად, ამ გზით რეკომენდაციებს ვაძლევთ აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას. გვინდა ხელისუფლებასა და მეცნიერებს შორის ჩატეხილი ხიდი აღვადგინოთ. ეს მნიშვნელოვანია როგორც ჩვენთვის, ისე ხელისუფლებისთვის.

ამ სამეცნიერო პროექტების უმთავრესი მიზანი, რასაკვირველია, პირველ რიგში არის, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები იყვნენ. ჩვენ ფუნდამენტურად ახლებურ, ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებულ მიდგომებს ვთავაზობთ.

პირველი აგვისტოდან თბილისში ტაქსების რეგისტრაცია იწყება

პირველი აგვისტოდან თბილისში ტაქსების რეგისტრაცია იწყება. ნებართვის მაძიებლები რეგისტრაციის გავლას ელექტრონულად, ტახიტბილისი.გოვ.გე-ზე შეძლებენ.

თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის, მამუკა მუმლაძის ინფორმაციით, დამატებითი ინფორმაციის საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის მაძიებლებს შეეძლებათ, მიმართონ გამგეობებს, სადაც მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები დაეხმარებიან.

მისივე თქმით, ნებართვა ერთწლიანია, შიდა წვის ძრავის მქონე ავტომობილის მძღოლებისთვის რეგისტრაციის ღირებულება 100, ჰიბრიდული ავტომობილის მძღოლებისთვის კი 50 ლარია. ელექტროავტომობილის მძღოლები პროცედურას უფასოდ გაივლიან.

რეგისტრაცია 1-ელ ოქტომბრამდე გაგრძელდება. ნებართვის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ტაქსის მძღოლები 200 ლარით დაჯარიმდებიან.

მონიტორინგზე პასუხისმგებელი საპატრულო პოლიცია და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ჯგუფები იქნებიან. რეგისტრაციის გავლის შემდეგ, ტაქსის მძღოლები ვალდებულნი იქნებიან, მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია ავტომობილის სალონში განათავსონ.

– რეგისტრაციის გავლას მძღოლები გამარტივებული წესით შეძლებენ. მათ ვებგვერდზე განთავსებულ ველებში უნდა შეიყვანონ პერსონალური მონაცემები. ასევე განათავსონ ავტომობილის ფლობის დამადასტურებელი მოწმობა. თუკი ნებართვის მაძიებელს საკუთარი ავტომობილი არ ჰყავს, მან უნდა წარმოადგინოს მესაკუთრის თანხმობა ტაქსით მომსახურების განხორციელებაზე. ერთი წლის შემდეგ, ნებართვის გაცემისას შემოვა დამატებითი რეგულაციები, განისაზღვრება ავტომობილის ფერი. ოქტომბერში გვეცოდინება, თუ რა ფერის ტაქსები იმოძრავებს თბილისში. ასევე, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მარჯვენასაჭიან ავტომობილებს აეკრძალებათ ამ მომსახურების გაწევა. თუმცა, მანამდე მძღოლებს მოსამზადებლად ერთი წელი აქვთ, – განაცხადა მამუკა მუმლაძემ.

კომერსანტი

საგადასახადო კოდექსში ცვლილებებით, იმპორტულ ხე-ტყეზე დღგ-ს გადასახადის გაუქმება იგეგმება

საგადასახადო კოდექსში გასატარებელი ცვლილებები ითვალისწინებს იმპორტულ ხე-ტყეზე დღგ-ს გადასახადის გაუქმებას და იმავდროულად რეექსპორტის გარკვეულწილად შეზღუდვას ხე-ტყეზე, მისი ნედლი ფორმით, – ამის შესახებ განმარტება ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ნიკოლოზ გაგუამ გააკეთა.

მისივე თქმით, ფინანსთა სამინისტრო ინიციატივებს ამზადებს და უახლოეს დღეებში იქნება წარდგენილი.

– საგადასახადო კოდექსში ცვლილებები ეს არის დიდი ეკოლოგიური ღონისძიებების პაკეტის ერთ-ერთი ნაწილი. ეს ითვალისწინებს იმპორტულ ხე-ტყეზე დღგ-ს გადასახადის გაუქმებას და იმავდროულად, რეექსპორტის გარკვეულწილად შეზღუდვას ხე-ტყეზე, მისი ნედლი ფორმით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოდან გასულ პროდუქტს მეტი დამატებითი ღირებულება შეექმნას, თუმცა ის, რომ იმპორტი გაიაფდება ამ ძალიან სენსიტიურ პროდუქტზე, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. გარკვეული ინიციატივები იქნება ხის ჭრასთან დაკავშირებით და გარემოზე ზემოქმედება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, – განაცხადა გაგუამ.

ბპნ

საქართველოს გზებზე სიკვდილიანობა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს ორჯერ აღემატება

საქართველოს გზებზე ყოველდღე ერთზე მეტი ადამიანი იღუპება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, საქართველოში 100,000 კაცზე გაანგარიშების შემთხვევაში, ყოველწლიურად ავტოკატასტროფების შედეგად 11.8 ადამიანი იღუპება. ეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს – 5.8-ს ორჯერ აღემატება.

ევროპის რეგიონის მასშტაბით, გზებზე სიკვდილიანობა საქართველოზე მაღალია ბელორუსში (13.1), სომხეთში (18.3), რუსეთში (18.9), ალბანეთში (15.8) და მოლდოვაში (12.5).

2017 წელს ავტოავარიებით სულ 8,461-მა პირმა მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება, ეს ნიშნავს, რომ ყოველდღე საშუალოდ 23 ადამიანი იღებს დაზიანებას ავარიების შედეგად. ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობა 517 იყო.

საქსტატის მონაცემებით, წლების მიხედვით, ყველაზე მეტი გარდაცვალების შემთხვევა ქალაქში ღვედების რეგულაციის ამოქმედებამდე, 2008 წელს მოხდა. მაშინ წლის განმავლობაში ავტოავარიებს 867 პირი ემსხვერპლა.

სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე სახიფათო გზები ვენესუელაშია, აქ ყოველ 100,000 კაცზე ავტოსაგზაო შემთხვევების მსხვერპლთა საშუალო რაოდენობაა 45. ასევე მაღალია აფრიკული ქვეყნების მაჩვენებელიც და ის საშუალოდ 27-ს შეადგენს.

გამომწვევი მიზეზების მიხედვით, შსს-ს ზუსტად აქვს შესწავლილი 2015 წლის მდგომარეობით რა ფაქტორებმა განაპირობეს ავარიები. ეს ფაქტორები მათი მნიშვნელობის მიხედვით ასე ნაწილდება:

სიჩქარის გადაჭარბება; მანევრირების წესების დარღვევა; შემხვედრ ზოლში გადასვლა; ნასვამი მართვა; საგზაო ნიშნების უგულებელყოფა; გზაჯვარედინზე მოძრაობის წესის დარღვევა; ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის წესის დარღვევა; გავლის უპირატესობის დარღვევა; ავტომობილის ტექნიკური გაუმართაობა.

კომერსანტი

ჭარბვალიანობის გამოქვეყნებული ანტირეკორდები – საღ არის გამოსავალი?

რამდენად მწვავეა ქვეყანაში ჭარბვალიანობის პრობლემა და როგორ შეიძლება შეიცვალოს სახელმწიფო პოლიტიკა კომერციული ბანკების მიმართ? ბიძინა ივანიშვილმა თავის ინტერვიუში, რომელიც მან „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ მისცა, ვრცლად ისაუბრა ჭარბვალიანობაზე, რომელიც მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწევს, ახსენა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დასკვნა, სადაც ამის შესახებ ეწერა, რომელიც მას დაუმალეს და ისიც თქვა, რომ კვირიკაშვილს ხშირად შეახსენებდა, რომ ორმა ბანკმა გადაჭამა ქვეყანა. სწორედ მისი ამ გზავნილების შემდეგ გაჩნდა მოლოდინი, თუ რით შეიძლება დაეხმაროს ხელისუფლება სავალო ორმოში ჩავარდნილ მოსახლეობას; იცოდა თუ არა მთავრობამ, რომ მოსახლეობის საბანკო თუ არასაბანკო ვალდებულებები ყოველწლიურად იზრდებოდა და, რაც მთავარია, რა იყო და არის ამის მიზეზი?

ჭარბვალიანობის გამოქვეყნებული ანტირეკორდები

არ ვიცით, ვინ რა დაუმალა ივანიშვილს, მაგრამ „კვირის პალიტრა“ ბოლო 2 წლის განმავლობაში სისტემატურად წერდა, რომ კომერციული ბანკების მიერ ფიზიკური პირების დაკრედიტება ძალიან სწრაფი ტემპით იზრდებოდა, რასაც ორჯერ და მეტად ჩამორჩებოდა ბიზნესის დაკრედიტება. სწორედ ამან განაპირობა, რომ კომერციული ბანკის ვალის მქონე მოსახლეობის სიჭარბით 2016 წელს საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა და ჩვენთან ყოველი 1000 კაციდან 710-ს ბანკის ვალი აღმოაჩნდა. იმასაც ვამბობდით, რომ ამ შედეგით საქართველო ყველა დროის მსოფლიო ისტორიული მაქსიმუმების შვიდეულშიც შევიდა; ანუ მანამდე მსოფლიოში მხოლოდ ექვსჯერ აღირიცხა უფრო მაღალი შედეგი, ვიდრე საქართველომ 2016 წელს მოახერხა. ვწერდით იმის შესახებაც, რომ ფიზიკური პირების დავალიანების ზრდა მწვავე პრობლემად მიაჩნდა არა მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდს (სსფ), არამედ ამას მიუთითებდნენ გერმანიის განვითარების ბანკი, ფრანკფურტის ფინანსების სკოლა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. გვთავაზობდნენ გამოსავალსაც. მაგალითად, რეკომენდაციებს შორის იყო, რომ სესხის მომსახურება, ანუ სესხის დასაფარავად ყოველთვიურად შესატანი თანხა, უნდა იყოს მსესხებლის შემოსავლის 30%-ზე ნაკლები, უცხოურ ვალუტაში კი 20%-ზე ნაკლები; გვეუბნებოდნენ, რომ კომერციულმა ბანკებმა არ უნდა მიაქციონ ზედმეტი ყურადღება გირაოს უზრუნველყოფას, შემოსავლის დადასტურების გარეშე სესხის გაცემა კი სამუდამოდ უნდა აიკრძალოს. გვირჩევდნენ, რომ უნდა წახალისდეს ბიზნესსესხები, ანუ გირაოს უზრუნველყოფაზე უფრო მეტად ყურადღება უნდა მიექცეს სესხის დასამტკიცებლად წარდგენილ ბიზნესპროექტის სამომავლო შემოსავლიანობის მაჩვენებლებს. ექსპერტები ამბობდნენ, რომ მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლები ჭარბვალიანობამ შთანთქა და რომ არა ამ პრობლემის დამძიმება, სოციალური ფონი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა. ეროვნული ბანკის სტატისტიკა კი აჩვენებდა, რომ საქართველოს ბანკების მომგებიანობა ისტორიულ მაქსიმუმზე იყო.

ვწერდით, რომ „კრედიტინფო საქართველოს“ ბაზაში 2005 წლიდან 22 მილიონი ჩანაწერია გაკეთებული – ინფორმაცია დახურული მიმდინარე სესხების შესახებ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. 2017 წელს ჩანაწერების რაოდენობა 4 მილიონით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. ვწერდით იმასაც, რომ 2011-2017 წლებში ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა სათამაშო ბიზნესში 9 მილიარდ ლარზე მეტი დახარჯეს და როცა ჭარბვალიანობაზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ აღებული კრედიტების დიდი წილი სწორედ აზარტული თამაშებისკენ მიემართებოდა და მიემართება. თუმცა 6 წლის განმავლობაში ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა სათამაშო ბიზნესის საქმიანობის აუცილებელ რეგულაციებში მოსაქცევად. რა უნდა გააკეთოს ახლა ხელისუფლებამ და რით უნდა დაიძლიოს ქვეყანაში ჭარბვალიანობა?

„ჭარბვალიანობაში მთავარი დამნაშავე სიღარიბეა?!“

გიორგი კეპულაძე, „საზოგადოება და ბანკების“ ხელმძღვანელი:

– არ მომწონს, როცა ადამიანები, რომლებსაც რაღაცების შეცვლა შეუძლიათ, პრობლემაზე მხოლოდ საუბრობენ და ყველაფრის სხვაზე გადაბრალებას ცდილობენ. თუ მმართველ გუნდს პრობლემის მოგვარების ბერკეტი აქვს, იმოქმედოს. ივანიშვილის განცხადება ორ კომერციულ ბანკთან დაკავშირებით არ უნდა განვიხილოთ როგორც ბიზნესმენის განცხადება, ეს მისი, როგორც პოლიტიკოსის განცხადებაა. როგორც ჩანს, წინასაარჩევნოდ პარტიებმა და მათ შორის მმართველმა გუნდმა კვლევები ჩაატარეს. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობისთვის ერთ-ერთი ყველაზე დემონიზებული სექტორი კომერციული ბანკებია. ივანიშვილიც ყველა ბანკს ხომ არ დასდებდა ბრალს ქვეყნის „გადაჭმაში“, რადგან თავადაც ბანკის მფლობელია? ამიტომ გამოარჩია ორი ბანკი, რომლებიც ფინანსური სექტორის 70%-ს ფლობენ, და ქვეყნის დაქცევა დააბრალა.

დიახ, ბანკებს აქვთ ხარვეზები, მათ შორის, მომხმარებელთა უფლებების დაცვაში, პრობლემური სესხების ამოღებაში, თუმცა ქვეყანაში სიღარიბისა და ჭარბვალიანობის ორი კომერციული ბანკისთვის დაბრალება, მეტისმეტია.

რა თქმა უნდა, მოსახლეობაში ჭარბვალიანობის პრობლემა არსებობს, რადგან ქვეყანაში სიღარიბეა, ხალხს არ ჰყოფნის შემოსავლები და სჭირდება ფული, რომ თვიდან თვემდე თავი გაიტანონ. ასეთ შემთხვევაში მიმართავენ სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტს და აქვთ არა მხოლოდ ბანკების, არამედ ყველაზე პრობლემატური მცირე სესხები, რომლებსაც მეტწილად ე.წ. ინტერნეტგამსესხებელი ორგანიზაციები და მიკროსაფინანსოები გასცემენ. ჩემი აზრით, ბანკებზე მეტად, სწორედ მათი ბრალია ჭარბვალიანობა.

კომერსანტი

საქართველო ხდება რეგიონის ტურისტული „ზესახელმწიფო“

საქართველოში ყოველწლიურად უცხოელი ტურისტების რაოდენობა იზრდება. სპეციალისტები დავობენ იმაზე, თუ რის ხარჯზე მოახერხა პატარა ქვეყანამ, რომელსაც არ გააჩნია მსოფლიო მნიშვნელობის კურორტები, სამაგიეროდ კი, აქვს ორი დაურეგულირებელი ტერიტორიული კონფლიქტი. სადღეისოდ ტურიზმი უკვე გახდა საქართველოს ეკონომიკის მთავარი დარგი, რომელზეც ქვეყნის მომავალია დამოკიდებული.

2017 წელს საქართველოს 7,9 მლნ. უცხოელი ეწვია. ოფიციალური მონაცემებით, ქვეყნის შემოსავალმა ტურიზმისგან, 2,8 მლრდ. დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ს 7%-ს შეადგენს.

როგორ და რისი წყალობით მოხვდა ქართული ტურისტული საოცრება, რომელიც დღესაც გრძელდება? თბილისის, ბათუმის და ქუთაისის აეროპორტები გადავსებულია მგზავრებით, „ღია ცის პოლიტიკის“ გამო ავიაკომპანიები უმატებენ ახალ-ახალ რეისებს, თითქმის ყოველდღე იხსნება სასტუმროები არა მხოლოდ ცნობილ კურორტებში და დედაქალაქში, არამედ ყველაზე მოულოდნელ ადგილებში – მაღალმთიან რეგიონებში, სადაც დღემდე ნახავთ ხელუხლებელ ბუნებას.

რა თქმა უნდა, ბათუმი და მისი სანაპიროები ვერც ერთი ობიექტური მაჩვენებლით ვერ შეედრება თურქეთის ხმელთაშუა ზღვის კურორტების – ვერც ინფარასტრუქტურის განვითარებას და ვერც სერვისის დონეს, თუმცა, ყოველწლიური ზრდა აქ მეტია, ვიდრე თურქეთში.

შესაძლებელია, რომ საქმე აქ არა ინფრასტრუქტურაში, არამედ სტუმრებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაშია. ანუ, ტრადიციულ სტუმართმოყვარეობაში, რომელიც ქართველების იდენტურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

უცხოელი ტურისტები აღნიშნავენ განსაკუთრებულ კეთილგანწყობას ადგილობრივი მოსახლეობისგან და იმასაც, რომ საქართველოში მათ არ უყურებენ მხოლოდ როგორც შემოსავლის წყაროს. ამ ფენომენის ახსნა ციფრებში საკმაოდ რთულია, თუმცა, ის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე რაციონალური და უემოციო მარკეტინგი.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კონვენციური ტურიზმის ბიუროს ხელმძღვანელი თორნიკე ზირაქიშვილი ამბობს, რომ ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ევროპელი ტურისტების რაოდენობა.

– ევროპა არის ჩვენი სტრატეგიული მიზნობრივი მიმართულება, რადგან სწორედ ევროპიდან ჩამოდიან გადამხდელუნარიანი ტურისტები. 2017 წელს ევროკავშირიდან ჩამოვიდა 24% მეტი ტურისტი ვიდრე 2016-ში, – ამბობს ის.

მისი განცხადებით, სწორედ ადამიანური ურთიერთობა არის ძირითადი ფაქტორი უცხოელი ტურისტებისთვის ამ ქვეყანაში.

– ადამიანური კონტაქტები ქმნიან ტურიზმის განსაკუთრებულ მიმართულებას – ე.წ. „experience tourism“-ს, როდესაც ადამიანი ეძებს არა მხოლოდ დასვენებას, არამედ ახალ გამოცდილებას, ახალ შეგრძნებებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანურ ურთიერთობასთან. ამიტომაც, საქართველოში ძალიან ბევრი ტურისტი ჩამოდის ინდივიდუალურად, ჯგუფის გარეშე. ეს ანიჭებს მათ მეტ თავისუფლებას და ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტის მეტ საშუალებას, – ამბობს ზირაქიშვილი.

„experience tourism“ საქართველოში დაკავშირებულია ტურიზმის ტრადიციულ მიმართულებებთან – მაგალითად, ღვინის ტურებთან. თუმცა, ღვინის დამზადების უძველესი ტექნოლოგია – უზარმაზარ კასრში სახელად „ქვევრი“, ასევე შეიძლება იყოს საინტერესო ღვინის მოყვარული ტურისტებისთვის.

ევროპელები ეძებენ საქართველოში არა მხოლოდ დასვენებას, რომელიც ხელმისაწვდომია ევროპის განთქმულ კურორტებზე, არამედ ახალ კონტაქტებს და პოზიტიურ შთაბეჭდილებებს.

ამიტომაცაა, რომ საქართველოში ტურისტული მიზიდულობის მხრივ ლიდერობს დედაქალაქი თბილისი, სადაც დასვენების და სასიამოვნო ურთიერთობების ბევრი საშუალებაა. ამავე დროს ხშირად ნახავთ ახალგაზრდა უცხოელ წყვილებს მძიმე ზურგჩანთებით, რომლებიც გადაადგილდებიან ქვეყნის ტერიტორიაზე ისევე, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა – მატარებლებით და ავტობუსებით.

– ბოლო მონაცემებით, სულ უფრო პოპულარულია მოგზაურობა პროვინციაში, სადაც ტურისტები ქირაობენ ოთახებს კერძო სახლებში არა მხოლოდ დაბალი ფასის გამო, არამედ სტუმართმოყვარე მასპინძლების ცხოვრების წესის გასაცნობად.

კიდეც ერთი საინტერესო ტენდენცია – 10 წლის წინ რუსეთსა და საქართველოს შორის ომი იყო. დღეს კი სწორედ რუსეთია ლიდერი უცხოური ტურისტების რაოდენობის ზრდის მხრივ. ეს ტენდენცია გრძელდება წლიდან წლამდე, და როგორც ჩანს, კიდევაც გაგრძელდება, – განაცხადა ზირაქიშვილმა.

ის დარწმუნებულია, რომ საქართველო უახლოეს წლებში გახდება ყველა სეზონის ტურისტული მიმართულება, სადაც სასიამოვნოა ყოფნა წლის ნებისმიერ პერიოდში, რისთვისაც სახელმწიფო ხარჯავს დიდ ფულს, ქმნის ახალ ტურისტულ მარშრუტებს და მიმართულებებს. აქ კი ვარიანტები ძალიან ბევრია – ძველი თბილისით დაწყებული, მაღალმთიანი სვანეთით დამთავრებული.

კომერსანტი

მშენებლობის ყველაზე მეტი ნებართვა წელს მრავალფუნქციურ საცხოვრებელ კომპლექსებზე გაიცა

2018 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში 2.995.9 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე 4.941 ნებართვა გაიცა.

„საქსტატის“ ცნობით, ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სასტუმროების, სავაჭრო ობიექტების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე.

აქედან, შედარებით დიდი წილით გაცემულ ნებართვებში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსებია წარმოდგენილი. დამთავრებული მშენებლობების ნახევარზე ქვეყნის 3 რეგიონზე, კერძოდ, 29.3 პროცენტი თბილისზე, 16.3 პროცენტი – კახეთის რეგიონზე, 11 პროცენტი კი – ქვემო ქართლის რეგიონზე მოდის.

ოფიციალური სტატისტიკით, 2018 წლის იანვარ-ივნისში ექსპლუატაციაში მიღებულია 9.28.9 ათასი კვ.მ. ფართობის 1.163 ობიექტი. 2017 წლის შესაბამის პერიოდში კი ექსპლუატაციაში შევიდა 1.190.1 ათასი კვ.მ. ფართობის 1.334 ობიექტი.

ბპნ

რა გავლენას მოახდენს ბიუჯეტზე ნატურალური რძისა და რძის ნაწარმის მიწოდების დღგ-სგან სრულად გათავისუფლება

ნატურალური რძისა და მისგან დამზადებული რძის პროდუქტების დღგ-ისგან გათავისუფლების შესახებ, პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მიმდინარე თვის დასაწყისში განაცხადა. კანონპროექტის მიღების მიზეზი საქართველოში რძის და რძის ნაწარმის წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზანშეწონილობაა.

– მოქმედი კანონმდებლობით, დღგ-სგან თავისუფლდება მხოლოდ 2 ლიტრზე მეტი პირველად საფუთავებში ჩასხმული რძე (2 ლიტრამდე პაკეტებში განთავსებულ ნატურალურ რძეს ეცვლება სასაქონლო კოდი, რის გამოც, მის მიწოდებაზე შესაძლებელია არ გავრცელდეს დღგ-ში არსებული საგადასახადო შეღავათი) და საქართველოში წარმოებული ყველი. ცვლილებების მიხედვით კი, ნატურალური რძისა და რძის ნაწარმის მიწოდება სრულად თავისუფლდება დღგ-სგან ჩათვლის უფლებით, – აღნიშნულია პროექტში.

ამასთან, როგორც პროექტშია აღნიშნული, წინასწარი ინფორმაციით, ცვლილებების შედეგად, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს წლიურად შესაძლებელია 35 მლნ. ლარი დააკლდეს.

ბპნ

იტალიაში 31 წლის ქართველი კაცი ქალის ცემის გამო დააკავეს

იტალიელმა პოლიციელებმა საქართველოს მოქალაქე, 31 წლის კაცი ქალის ცემის ბრალდებით დააკავეს.

იტალიური მედიის ცნობით, საქართველოს მოქალაქემ ქალაქ კარპიში ყოფილ მეგობარ ქალს სახეში მუშტი დაარტყა. შემთხვევა დააფიქსირეს სასტუმროს ვიდეოკამერებმა, სადაც მსხვერპლი მუშაობს. მას სამედიცინო დახმარება დასჭირდა. სამართალდამცავებმა შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს ვიდეომტკიცებულებები.

იტალიელმა სამართალდამცავებმა დაკავებულს ბრალი უკვე წაუყენეს.

თელავში ძმამ ძმა დაჭრა

თელავში ძმამ ძმა დაჭრა. „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტის ინფორმაციით, შემთხვევა გვიან ღამე მოხდა, რასაც წინ ფიზიკური დაპირისპირება უძღოდა. დაპირისპირების დროს 50 წლამდე მამაკაცი ცივი იარაღით კისრის არეში დაიჭრა.

ძმებს შორის კონფლიქტი ყოფით პრობლემებს უკავშირდება.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

მამაკაცი, რომელსაც რუსთავში 1 თვე ეძებდნენ, საკუთარ მანქანასთან გარდაცვლილი იპოვეს

ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს სოფელ გაჩიანში.

როგორც გაირკვა, პოლიცია და ახლობლები მას რუსთავში ბოლო ერთი თვის განმავლობაში ეძებდნენ.

მამაკაცი საკუთარ ავტომობილთან ნახეს გარდაცვლილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ, რომ პირველადი დათვალიერებით მამაკაცს ძალადობის კვალი არ აღენიშნება. ცხედარს ექსპერტიზა უტარდება.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ვაკეში ავტობუსის მძღოლმა სიცხისგან გონება დაკარგა

გუშინ, 30 ივლისს, თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე №34 ხაზზე მოძრავი ავტობუსის მძღოლი სიცხისგან შეუძლოდ გახდა. შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც მძღოლი ავტობუსს მართავდა, თუმცა ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

ავტობუსის მძღოლი ამბობს, რომ შეუძლოდ ძლიერი სიცხისგან გახდა, რის გამოც გონება დაკარგა.

თუშეთში მანქანა გადავარდა — 1 ადამიანი დაიღუპა, 2 დაშავდა

ერთი ადამიანი დაიღუპა და ორი დაშავდა თუშეთში ავტომანქანის ხრამში გადავარდნის შედეგად. შემთხვევა წოვათის ხეობაში, სოფელ ილიურთასთან მოხდა.

ავტომობილი ხრამში რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლიდან გადავარდა. დაშავებულები გვიან ღამით ამოიყვანეს.

დაშავებულები თელავის რეფერალურ საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. გავრცელებული ინფორმაციით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზს გამოძიება დაადგენს. თუმცა სავარაუდო მიზეზად პირველადი მონაცემებით ალკოჰოლით თრობა სახელდება.

საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის მოხმარებაზე სანქციები გააუქმა

აკაკი ზოიძე ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე განცხადებას ავრცელებს.

სასამართლოს შეფასებით, მარიხუანას მოხმარება, წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცულ ქმედებას.

„2018 წლის 30 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქეების ზურაბ ჯაფარიძის და ვახტანგ მეგრელიშვილის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის 1282) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მოსარჩელე მხარე დავობდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც აწესებდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალება – მარიხუანას მოხმარებისათვის.

მოსარჩელეთა განმარტებით, მარიხუანას მოხმარება არ წარმოადგენს საზოგადოებრივი საფრთხის მატარებელ ქმედებას. კერძოდ, მას შეუძლია ზიანი მიაყენოს მხოლოდ მომხმარებლის ჯანმრთელობას, რომელიც თავადვე იქნება პასუხისმგებელი დამდგარ შედეგზე. ისეთი ქმედებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებას, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავის დაზიანებისკენ არის მიმართული და არ იწვევს საზოგადოებისთვის საშიშ შედეგებს, არ გააჩნია ღირებული საჯარო ინტერესი.

მოპასუხე მხარე აღნიშნავდა, რომ სადავო ნორმის ლეგიტიმურ მიზნებს წარმოადგენს როგორც ცალკე ინდივიდების, ასევე მთლიანი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და საზოგადოებრივი

უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მოპასუხის პოზიციით მარიხუანას მოხმარება არის ზიანის მომტანი ადამიანის ჯანმრთელობისთვის და აუცილებელია მოსახლეობის, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა დაცვა მარიხუანასგან მომდინარე ჯანმრთელობისთვის საზიანო შედეგებისგან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მარიხუანას მოხმარება, წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცულ ქმედებას. მარიხუანას მოხმარების აკრძალვა მისი ბრუნვის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებაა და შესაბამისად ემსახურება მომხმარებლების ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. თუმცა, სასამართლოს მოსაზრებით, ინდივიდუალური მომხმარებლის როლი მარიხუანას ბრუნვის ხელშეწყობაში არის ძალიან მცირე, შესაბამისად, მცირეა მოხმარების ინდივიდუალური ფაქტიდან მომდინარე საფრთხეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მარიხუანას მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის ბლანკეტურად დაწესება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის დაცვის არაპროპორციულ საშუალებას წარმოადგენს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მოთხოვნებს.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მარიხუანას მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესება კონსტიტუციის შესაბამისია იმ შემთხვევებში, როდესაც მოხმარების კონკრეტული ფაქტი ქმნის საფრთხეებს მესამე პირებისთვის. მაგალითისთვის, სასამართლომ მარიხუანას მოხმარებისთვის პასუხისმგებლობის დაწესება გამართლებულად მიიჩნია მაშინ, როდესაც აღნიშნულ ქმედებას ადგილი აქვს სასწავლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ზოგიერთი სახის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე, მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, არასრულწლოვანთა თანდასწრებით და ა.შ.“ – ნათქვამია განცხადებაში.

* * *

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება.

უმრავლესობის წევრი მოსამართლეთა კოლეგიის გადაწყვეტილებას ნაადრევს უწოდებს.

– მარიხუანას მოხმარებაზე ადმინისტრაციული სასჯელის გაუქმება არ ყოფილა ჩვენს ინიციატივაში. ასეთ პირობებში მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაციის მომხრე არ ვყოფილვარ. მხარს ვუჭერდი, მაქსიმალურად სწრაფად გაგვეკეთებინა მარიხუანას მოხმარების მკაცრი რეგულირება. მაშინ როცა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმება მოხდა.

არ ვეთანხმები საკონსტიტუციო სასამართლოს დღევანდელ გადაწყვეტილებას. ჩემი აზრით, ეს თემა მოსამზადებელი იყო. ვეთანხმებოდი მხოლოდ სამედიცინო მიზნით მარიხუანას გამოყენების დაშვებას. პირდაპირ ვთქვათ, ერთი წლის განმავლობაში მარიხუანასთან დაკავშირებით არაპირდაპირი რეკლამა მიმდინარეობდა, რამაც ხელი შეუშალა ნარკოპოლიტიკის რეფორმას დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით. გზავნილები აირია და მოსახლეობა უკვე ველარ არკვევდა, ჩვენ რა გვინდოდა – გვინდოდა, რომ ამ ქვეყანაში მარიხუანა ყველას ლეგალურად მოეწია თუ გვინდოდა რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა შეგვემცირებინა. ჩვენთვის ეს იყო მნიშვნელოვანი და არა ის, რაც დღეს ხდება მარიხუანასთან დაკავშირებით, – აცხადებს აკაკი ზოიძე.

თელავის სასამართლომ ბადაგონის ქონებას ყადაღა დაადო

გუშინ, 30 ივლისს, თელავის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა „გრაკორო თრეიდინგ ლიმიტედ“-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა და სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, სს კომპანია ბადაგონს აუკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივი დატვირთვა.

შეგახსენებთ, რომ მანამდე თბილისის საქალაქო სასამართლომ „გრაკორო თრეიდინგ ლიმიტედ“-ის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაადო სს „ბადაგონის“ აქციათა 100%-ს, ასევე გიორგი სალაყაიას უძრავ და მოძრავ ქონებას.

თანხის გამოძალვა რუსეთის საკონსულოსთან თბილისში

შსს-მ გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის საკონსულოს მიმდებარე ტერიტორიაზე ფულის შესაძლო გამოძალვის ფაქტზე გამოძიება თაღლითობის მუხლით დაიწყო.

რუსეთის ვიზების მიღების მსურველებს კვლავაც გაუსაძლის სიცხესა და უსასრულო რიგებში უწევთ დგომა, ისინი დროულად ვიზის აღებას მხოლოდ გარკვეული თანხის სანაცვლოდ ახერხებენ.

– ორი თვეა, რიგს ველოდები, თანხის შესახებ არაფერი ვიცი, რომ გადამეხადა, ალბათ ეს ორი თვე აქ არ ვიდგებოდი. ყოველ ჯერზე მიბარებენ და მეუბნებიან, ხვალ მოდიო, საბუთები წესრიგში მაქვს, მაგრამ მაინც ველოდები, – ამბობს ერთ-ერთი ქალი.

გრიგოლეთში ზღვამ შუახნის მამაკაცის ცხედარი გამორიყა

გრიგოლეთში ზღვამ შუახნის მამაკაცის ცხედარი გამორიყა. ცხედარი ქუთაისში, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროშია გადასვენებული.

ლანჩხუთის მერის წარმომადგენლის, დავით გუმბარიძის ინფორმაციით, გარდაცვლილი, სავარაუდოდ, 60 წლის მამაკაცია, რომელიც რამდენიმე დღის წინ მდინარე ჭოროხში დაიხრჩო.

მისივე თქმით, გვამის იდენტიფიცირება ჯერ არ მომხდარა.

მაშველები 4 დღის განმავლობაში სანაპირო ზოლზე სამძებრო სამუშაოებს ახორციელებდნენ.

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო დახმარების ბრიგადა და პოლიცია.

ინტერპრესნიუსი

ავარია ბათუმში — 2 გოგონა დაშავდა

ბათუმში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ორი გოგონა დაშავდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე ერთმანეთს რამდენიმე მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

დაშავებულები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში გადაიყვანა.

ჯულიანი: „ტრამპი მიულერის შეკითხვებს უპასუხებს“

აშშ-ში გრძელდება გამოძიება საპრეზიდენტო არჩევნებში რუსების ჩარევის გამო.

ადრე პრეზიდენტი ტრამპი უარს აცხადებდა სპეცპროკურორ მიულერთან შეხვედრასა და მის კითხვებზე პასუხის გაცემაზე. ახლა ეს შეიცვალა.

– ტრამპი მზადაა, მიულერს შეხვდეს და მის შეკითხვებს უპასუხოს, – განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტის ადვოკატმა ჯულიანიმ.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ტრამპისა და მიულერის თანამშრომლებს შორის შეხვედრის თარიღის შესახებ.

ლატვიელი დეპუტატი: „სანამ რუსეთი არ დაიშლება, კაცობრიობა მშვიდად ვერ იცხოვრებს!“

ლატვიის პარლამენტის დეპუტატმა ალექსანდრე კირშტეინსმა განაცხადა, რომ რუსეთმა მთელ დემოკრატიულ სამყაროს და არსებულ მსოფლიო წესრიგს გამოწვევა ესროლა. მოსკოვი მხარს უჭერს და აფინანსებს ანტიდემოკრატიულ, პოპულისტურ ძალებს ევროპაში; რუსები ეხმარებიან სირიის დიქტატორ ასადს; რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია და გააჩაღა ომი დონბასში; რუსეთმა განახორციელა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთის, მთიანი ყარაბაღის ოკუპაცია.

– სანამ რუსეთი არ დაიშლება, კაცობრიობა მშვიდად ვერ იცხოვრებს. ომები და კონფლიქტებიც არ შეწყდება, – თქვა კირშტეინსმა.

ორბანი ევროკავშირს აკრიტიკებს

უნგრეთის პრემიერმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა, რომ დასავლეთ ევროპაში დემოკრატია არ არის.

– არის ლიბერალიზმი, მაგრამ არა დემოკრატია, – თქვა ორბანმა.

უნგრეთის პრემიერმა ევროკომისიის საქმიანობას სრული კატასტროფა უწოდა. მისი აზრით, ევროკავშირში ვერც ერთმა სტრუქტურამ მწვავე პრობლემების გადაჭრა ვერ შეძლო.

– ყველაზე მტკივნეული მიგრაციის პრობლემაა, მაგრამ ევროსტრუქტურები ამის მიმართ აბსოლუტურად უმწეონი აღმოჩნდნენ, – თქვა ორბანმა.

საბერძნეთში ხანძრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 91-მდე გაიზარდა

საბერძნეთში ტყის ხანძრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 91-მდე გაიზარდა. ამ ეტაპზე უგზო-უკვლოდ დაკარგულად 25 ადამიანი მიიჩნევა.

29 ივლისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 59 დაღუპული. სახანძრო სამსახურის ინფორმაციით, უგზო-უკვლოდ დაკარგულები შესაძლოა იმ დაღუპულებს შორის იყვნენ, ვინც ჯერ იდენტიფიცირებული არ არის.

საბერძნეთში ხანძრის შედეგად 2.000 სახლია განადგურებული.

ხანძრის გაჩენის მიზეზებთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

ხანძარი სოჭში

სოჭში მდებარე ერთ-ერთ საერთო საცხოვრებელს ცეცხლი გაუჩნდა. შედეგად 8 ადამიანი დაიღუპა.

ხანძარი იმდენად ძლიერი იყო, რომ გამოძახებულმა მეხანძრეებმა მისი ჩაქრობა კარგა ხანს ვერ შეძლეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

რა გზავნილების მატარებელი იყო ელისაბედ II გულსაკიდები ტრამპთან შეხვედრაზე?

ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ ისაუბრა იმ გზავნილებზე, რომელიც შესაძლოა კოდირებული იყო დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II-ს გულსაკიდებით აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან შეხვედრების დროს.

ტრამპის ვიზიტის პირველ დღეს დედოფალმა ელისაბედ II-მ მწვანე ფერის გულსაკიდი გაიკეთა, რომელიც მას აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მეგობრობის ნიშნად აჩუქა. აღსანიშნავია, რომ ის თავად პრეზიდენტმა და ყოფილმა პირველმა ლედიმ მიშელ ობამამ საკუთარი ფულით თავადვე იყიდეს.

მეორე დღეს დედოფალს სხვა გულსაკიდი ეკეთა, რომელიც მას კანადის პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის სახელით აჩუქა. ცნობილია, რომ ამჟამად ტრამპს ამ ქვეყანასთან დაძაბული ურთიერთობა აქვს.

და ბოლო დღეს ელისაბედ II-მ გაიკეთა გულსაკიდი, რომელიც მამის, მეფე გეორგ IV-ის გასვენებაში ეკეთა. ასე რომ, ის ნამდვილად არ ასოცირდებოდა სიხარულთან და ბედნიერებასთან, იუწყება ბრიტანული გამოცემა.

უცნობმა სამლოცველოში 40 ათასი შეკელი დამალა

უცნობმა პირმა პატრიარქთა გამოქვაბულში, რომელიც ისრაელის ქალაქ ჰევრონის უძველეს ნაწილში მდებარეობს, 40 ათასი შეკელი (დაახლოებით 11 ათასი დოლარი) დამალა. ამის შესახებ ფეისბუქში სამლოცველოს თანამშრომელმა ელიმელეხ კარზანმა დაწერა.

მისი თქმით, ვიღაცამ ლატარიაში რამდენიმე მილიონი შეკელი მოიგო და გადაწყვიტა ის ქველმოქმედებისთვის მოეხმარებინა, მაგრამ მან ეს უჩვეულო ფორმით გააკეთა: უამრავი 200 შეკელიანი კუპიურა სამლოცველოებში დამალა, რომლებიც გამოქვაბულშია განლაგებული.

პირველებმა ფული რამდენიმე ახალგაზრდამ აღმოაჩინა, რომლებიც იქ ღონისძიებაზე იყვნენ მისულები. ხმები „განძის“ შესახებ ხალხში სწრაფად გავრცელდა და ადამიანები მათ მოსაძებნად დაიძრნენ.

კარზანმა აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, ამის შედეგად ლოცვების რამდენიმე ტომი დაზიანდა. ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა აღნიშნავს, რომ აღნიშნული ფინანსური დახმარება ღარიბი ოჯახების წევრებისთვის იყო განკუთვნილი, რომლებიც იქ სალოცავად მიდიან.

მეგან მარკლის სარძლო დააპატიმრეს

სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლის ძმის საცოლე თავდასხმის ბრალდებით იქნა დაპატიმრებული. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

– გასულ საღამოს გამოძახება ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით ტომას მარკლისა და დარლინ ბლაუნტის ბინიდან მოვიდა. დარლინი თავდასხმის ბრალდებით იქნა დაპატიმრებული, – განაცხადა ინფორმირებულმა წყარომ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 37 წლის დარლინ ბლაუნტი ორეგონში რამდენიმე დღის წინ თავდასხმის ბრალდებით დააკავეს. ასევე ცნობილი გახდა, რომ მის გასათავისუფლებლად გირაო იქნა გადახდილი. მისი ოდენობა არ სახელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს, მედლებს, ორდენებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

მოურინიო ფეხბურთელებს შვებულების შეწყვეტას სთხოვს

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, ჟოზე მოურინიომ თხოვნით მიმართა რომელუ ლუკაკუს, პოლ პოგბას, ჯესი ლინგარდს და სხვა ფეხბურთელებს, რათა დროზე ადრე შეწყვიტონ შვებულება და დაეხმარონ გუნდს. შეგახსენებთ, რომ ამ მომენტისთვის მანჩესტერს ვერ ეხმარება შემადგენლობის 17 წევრი.

ჟოზემ მოუწოდა ფეხბურთელებს, რომ აიღონ მაგალითი ფილ ჯონსისა და მარკუს რეშფორდისგან, რომელთაც დროზე ადრე შეწყვიტეს შვებულება და უკვე ამ კვირაში შეუერთდებიან გუნდს ქერინგტონში.

ჟოზე მოურინიო:

– იმედი მაქვს, რომ ბიჭები, რომლებიც იმყოფებიან დამსახურებულ შვებულებაში, შეინარჩუნებენ ფიზიკურ ფორმას და რამდენიმე მათგანს მოუნდება, აიღოს მაგალითი ფილ ჯონსისა და მარკუს რეშფორდისგან, რომლებიც დროზე ადრე ბრუნდებიან გუნდის დასახმარებლად, რომელიც სეზონის სტარტზე პრობლემებს განიცდის.

შეგახსენებთ, რომ ტრავმების გამო ამ მომენტისთვის გუნდს ვერ ეხმარებიან: ნემანია მატიჩი, მარკოს როხო, დიოგო დალო, ანტონიო ვალენსია და სერხიო რომერო, ასევე ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ კრის სმოლინგს, ლუკ შოუს, ანდერ ერერასა და ერიკ ბაიის.

6 ფეხბურთელი კი, მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ შვებულებაში იმყოფება: პოლ პოგბა, რომელუ ლუკაკუ, ჯესი ლინგარდი, ეშლი იანგი, მარუან ფელაინი და ვიქტორ ლინდელოფი.

დორტმუნდი პულისიჩს ყიდის

დორტმუნდის ბორუსია მზადაა 19 წლის უნივერსალი ამერიკელი ნახევარმცველი კრისტიან პულისიჩი მიმდინარე სატრანსფერო ბაზარზე 65 მილიონ გირვანქა სტერლინგად გაყიდოს.

პულისიჩისადმი ინტერესები დიდია და მისი დამატების სურვილს მადრიდის რეალი, მიუნხენის ბაიერნი, ლონდონის ჩელსი და ლივერპული გამოთქვამენ. ამერიკელმა ჰაბბემა განსაკუთრებული მონდომებით ჩაატარა ამხანაგური მატჩი ლივერპულთან, სადაც გუნდის გამარჯვებაში მთავარი როლი შეასრულა.

ბორუსიელთა შუახაზელს კლუბთან კონტრაქტი კიდევ 2 წლით აკავშირებს, თუმცა დორტმუნდი აცნობიერებს მის გარშემო შექმნილ სიტუაციას და მზადაა, სანამ დროა სარფიანად გაყიდოს.

პულისიჩმა დორტმუნდის რიგებში უკვე მოასწრო 70 მატჩის ჩატარება, სადაც 9 გოლი გაიტანა, ხოლო ამერიკის ნაკრებში 21-ჯერ იასპარეზა და იქაც 9-ჯერ შეარხია კარის ბადე.

მორატა და 55 მილიონი, იგუაინისა და რუგანის სანაცვლოდ



ლონდონის ჩელსი სატრანსფერო მოქმედებაზე გადადის. იტალიური მედიის ინფორმაციით, პრემიერ ლიგის ერთ-ერთი გიგანტი, ტურინის იუვენტუსს ალვარო მორატას და პლუს თანხას სთავაზობს, რათა გონსალო იგუაინის და დანიელე რუგანის ტრანსფერი საბოლოოდ დახუროს.

არგენტინელ ფორვარდს ასევე აქტიურად უკავშირებენ მილანს, სადაც პიპიტა ასევე ბარტერის მონაწილე უნდა გახდეს და ლეონარდო ბონუჩის გაუცვალოს ნავსაყუდელი.

ჩელსი მზად არის ალვარო მორატასთან ერთად 55 მილიონი ევრო გაიღოს, რათა ტურინული დუეტი საკუთარ რიგებში იხილოს.

ასევე, წყაროების თანახმად, იუვენტუსისთვის შეთავაზება დამაკმაყოფილებელი არ იქნება, რადგან მათ გონსალოს ტრანსფერი 60 მილიონის, ხოლო რუგანის სანაცვლოდ 55 მილიონი ევროს მიღება აქვთ გადაწყვეტილი.

ინგლისში ჩელსი ყველაზე მეტად სძულთ

ბრიტანულმა გამოცემა მირორმა საინტერესო კვლევა ჩაატარა – გამოკითხა პრემიერ ლიგის ყველა კლუბის გულშემატკივრები, რათა დაედგინა, საკუთარის გარდა რომელი გუნდის მიმართ არიან სიმპათით განწყობილნი და რომელი გუნდი სძულთ ინგლისში ყველაზე მეტად.

ყველაზე საძულველი გუნდების ჩამონათვალის სათავეში ლონდონის ჩელსია (68,7%). რომან აბრამოვიჩის კლუბის შემდეგ ხუთეულში მოხვდნენ: მანჩესტერ იუნაიტედი (68,1%), ლივერპული (52,8%), ვესტ ჰემი (47,6%) და არსენალი (46,2%).

ახლა სიმპათია: როგორც აღმოჩნდა, ინგლისელ ფანატებს ყველაზე მეტად ბარნლი მოსწონთ (35,8%). შემდეგ მოდიან: ჰადერსფილდი (30,2%), მანჩესტერ სიტი (28,3%), ნიუკასლი (27,1%) და ფულემი (27,1%).

ჭრიკიშვილის შედეგიანი დებრუნება და თუშიშვილის ოქრო

ზაგრების გრან პრი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა 2 ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედლით დაასრულა. ავთანდილ ჭრიკიშვილი (90კგ) და გურამ თუშიშვილი (+100) კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგნენ, ხოლო ლაშა ტაველური მე-3 ადგილზე გავიდა.

ჭრიკიშვილმა ზაგრების გრანპრიზე ხანგრძლივი პაუზის შემდეგ იჭიდავა, თანაც 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში. ჩვენებურმა მთელი ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ღირსეული გამარჯვება იზეიმა!

ჭრიკიშვილმა პირველ შეხვედრაში სირილ გროსკლაუსი (შვეიცარია) ვაზარით დაამარცხა, შემდეგ წუთსა და 4 წამში იპონით მოუგო ტომა სერჟიუს და ასევე იპონით სძლია ჩეხ დავიდ კლამერტს.

ჭრიკიშვილმა დარჩენილი სამი ბრძოლა ვაზარით მოიგო: მეოთხედფინალში ბრიტანელ მაქს სტიუარტს გაუმკლავდა, ნახევარფინალში ფრანგი აქსელ კლერეე დაამარცხა, ხოლო ფინალში მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონს, ეშლი გონსალესს სძლია და დიდი პაუზის შემდეგ, ზაგრების გრან პრიზე ოქროს მედლის მოპოვება შეძლო.

მძიმე წონაში საქართველოს ორი წარმომადგენელი ჰყავდა: თუშიშვილი და გიორგი ქავთარაძე. ქავთარაძემ ტურნირზე პირველი შეხვედრის მოგება მოახერხა, ხოლო მეორე მატჩში ჰოლანდიელ ძიუდოისტთან დამარცხდა და უმედლოდ დარჩა.

თუშიშვილი ფინალში მარტივად გავიდა. ერთი შეხვედრის გარდა, ქართველმა ძიუდოისტმა ყველა დაპირისპირება ადრე დაასრულა. თუშიშვილი განთესილი იყო და პირველ ეტაპზე არ უჭიდავია. მისი პირველი მეტოქე, ჩილელი ფრანციისკო სოლისი იყო, რომელსაც 2 წუთსა და 28 წამში მოუგო.

გურამმა მერვედფინალში უზბეკ ბეკმურო ოლტიბოევს სძლია, ხოლო მეოთხედფინალში აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე უშანგი კოკაური დაამარცხა. თუშიშვილს ნახევარფინალში უკრაინელი იაკივ ხამო შეხვდა, რომელსაც ვაზარით სძლია და ფინალში გავიდა, სადაც რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, ებრაელი ორ სასონი ბეჭებით დაანარცხა ტატამს.

100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ტაველური ბრინჯაოს დაეუფლა. ქართველმა ძიუდოისტმა მესამე ადგილისთვის გამართულ შეხვედრაში აზერბაიჯანელი ელხან მამადოვი დაამარცხა.

18 წლამდე კალათბურთელთა ნაკრები ისევ აგებს

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში ჯერჯერობით მოუგებლად ასპარეზობს. ბუბა ბერიშვილისა და თემურ კანკიას გაწვრთნილმა გუნდმა მაკედონიაში მიმდინარე ტურნირის საწყისი 2 მატჩი ესტონეთთან და უნგრეთთან წააგო, შემდეგ კი ავსტრიას შეხვდა და შეხვედრა ამჯერადაც დათმო.

ზემოთ ნახსენებ ნებისმიერ მეტოქესთან ქართველები თავიდან არაფერს თმობდნენ. ჩვენმა გუნდმა არც ავსტრიასთან წააგო პირველი ტაიმი და დიდი შესვენებისთვის ანგარიში 34:34 გახლდათ, თუმცა ასევე ტრადიციულად, ქართველებმა მესამე პერიოდი სუსტად ითამაშეს და ათწუთიულის 17:28 წაგებით გადამწყვეტი მეოთხედის წინ 11 ქულით ჩამორჩნენ.

ბოლო პერიოდში ქართველების ყოველი ცდა, ჩამორჩენა შეემცირებინათ, ამაო გამოდგა. საქართველოს ნაკრები მეტოქესთან 9 ქულაზე ახლოს (70:79) ვერ მივიდა და საბოლოოდ შეხვედრა 12 ქულით – 76:88 წააგო.

ჩვენს გუნდში საუკეთესო შედეგი დავით კაკუშაძემ დააფიქსირა, რომელმაც 14 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა. 14 ქულა ჰქონდა რატი ანდრონიკაშვილსაც, თუმცა ჭარბი დაკარგვების გამო მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა საკმაოდ დაბალი, 3 ერთეული შეადგინა. ამ მაჩვენებლით კაკუშაძის (16) შემდეგ მეორე შედეგი აჩვენა ოთარ პერტაიამ (12), რომელმაც 20 წუთში 10 ქულა, 4 მოხნა და 3 პასი მიითვალა.

3-დან 3 წაგებით საქართველოს ნაკრები ანალოგიური შედეგის მქონე აზერბაიჯანთან ჯგუფში 5-6 ადგილებს იყოფს. ჩვენს ნაკრებს პლეი ოფში გასვლის შანსი დაკარგული აქვს და დარჩენილ 2 მატჩში ჯგუფში მე-4 ადგილის დაკავებისთვის უნდა იბრძოლოს, რათა არა 17-24, არამედ 9-16 ადგილებისთვის გააგრძელოს ასპარეზობა.

ახალი სკანდალები ყატარის გარშემო

მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატთან დაკავშირებით, რომელიც ყატარში უნდა ჩატარდეს, ახალი სკანდალური ცნობები გავრცელდა.

ინგლისური მედიის ინფორმაციით, 2022 წლის მუნდიალის მასპინძლობის უფლების მოპოვებისთვის ბრძოლაში ყატარმა უშუალო კონკურენტების, ავსტრალიისა და აშშ-ის წინააღმდეგ საიდუმლო ოპერაციები აწარმოა.

კონკრეტულად კი, ყატარმა მსოფლიოს ჩემპიონატის მოპოვებისთვის ბრძოლაში პიარის ფირმა და რამდენიმე ყოფილი აგენტი დაიქირავა. მათი დავალება კონკურენტების დისკრიმინაცია და საბოტაჟი იყო. მაგალითად, მასშტაბურად ვრცელდებოდა ცრუ და არასწორი ინფორმაციები იმასთან დაკავშირებით, რომ ყატარის კონკურენტ ქვეყნებს შიდა მხარდაჭერა არ ჰქონდათ.

– ჩვენ ფიფას წესების მიხედვით ვმოქმედებდით, – აცხადებენ ყატარის წარმომადგენლები, თუმცა...

შეგახსენებთ, რომ ყატარმა მუნდიალის მასპინძლობის უფლება ზეპ ბლატერის დროს მოიპოვა, თავად ბლატერმა კი, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი თანამემამულე მიშელ პლატინიზე ზეწოლაში დაადანაშაულა იმ მიზნით, რომ ყატარს 2022 წლის მუნდიალის მასპინძლობის განაცხადი მიეღო.

– ცუდი ამბები... ყატარს სხვა პრეტენდენტებზე ჭორების გავრცელებაში ადანაშაულებენ. ფაქტი ისაა, რომ ყატარმა მას შემდეგ მოიგო, რაც ნიკოლა სარკოზიმ ფიფა-ს მაშინდელ ვიცე-პრეზიდენტზე, მიშელ პლატინიზე პოლიტიკური ზეწოლა მოახდინა. მეტი ინფორმაცია ჩემი წიგნის, „ჩემი სიმართლე“ მე-10 თავში იხილეთ, – დაწერა ბლატერმა „ტვიტერში“.

შეგახსენებთ, რომ ბლატერი ფიფა-ს ხელმძღვანელობიდან 2015 წელს, კორუფციის ბრალდებით გადააყენეს.

რაც შეეხება ყატარს, მსოფლიოს ჩემპიონატი, წინა მუნდიალებისგან განსხვავებით, ამჯერად ზამთარში გაიმართება – 21 ნოემბერს დაიწყება და 22 დეკემბერს დასრულდება.

შედეგები

29 ივლისი

ფეხბურთი

ხუთეული. ჰხემიეხლიგა

ენისეი-ზენიტი 0:2
არსენალი-დინამო 0:0
რუბინი-კრასნოდარი 2:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ლუგანო-იანგ ბოიზი 0:2
სტ.გალენი-სიონი 2:4
თუნი-ლუცერნი 2:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-რაპიდი 0:3
ზალცბურგი-ლინცერი 3:1
სტ.პოლენი-ვოლფსბერგერი 4:3

ბელგია. 1 დივიზიონი

ბრიუგე-ეუპენი 5:2
შარლერუა-ანტვერპენი 0:1
ლოკერენი-გენკი 0:4

ჩეხეთი. 1 ლიგა

ტეპლიცე-დუკლა 5:2
იაბლონეცი-სპარტა 1:2

ჰოლანდია. ექსტრაღლასა

გურნიკი-ალოკეი 1:1
არკა-იაგელონია 0:2
ლეხი-კრაკოვია 2:0

უკრაინა. ჰხემიეხლიგა

კარპატი-ჩერნომორეცი 1:0
ოლიმპიკი-ვორსკლა 1:0
მარიუპოლი-დენსა 1:4
შახტარი-არსენალი 3:0

დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-ვენსიუელსი 3:0
რანდერსი-ოდენსე 1:0
ჰობრო-ბრონდბიუ 1:2
კოპენჰაგენი-ოლბორგი 4:0

შვედეთი. ალსვენსკა

აიკი-კალმარი 1:0
დიურგარდენი-სუნდსვალდი 1:1
ჰაკენი-იორებრო 1:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

კემი-კუუპიო 3:2
მარიჰამნი-სეინეიოკი 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ლევანდოვსკის კოვაჩი ბოვებს, ბოატენგს რუმენიგე უშვებს

მიუნხენის ბაიერნის მთავარი მწვრთნელი ნიკო კოვაჩი, ჟურნალისტებთან მიცემულ ინტერვიუში, ბავარიული კლუბის პოლონელი გოლიადორის, რობერტ ლევანდოვსკის შესახებ საუბრობს და აღნიშნავს, რომ ხსენებული შემტევი მომავალ საფეხბურთო სეზონსაც გერმანული გრანდის რიგებში გაატარებს.

შეგახსენებთ, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ესპანური გამოცემები ხშირად წერდნენ იმის შესახებ, რომ რობერტს ბაიერნის დატოვება და სხვა კლუბში გადასვლა სურს.

საამისოდ, ლევანდოვსკი და კოვაჩი ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ. ლევანდოვკის მსოფლიო ჩემპიონატზე ყოფნის გამო ბაიერნს ამერიკულ ტურნეზე არ ახლდა და კოვაჩის გერმანიაში დაბრუნებას ელოდებოდა, მაგრამ მწვრთნელმა კომენტარი ამერიკიდან გააკეთა.

ნიკო კოვაჩი:

– ლევანდოვსკი უმაღლესი კლასის ფორვარდია, სწორედ ამიტომ ჩვენ მისი გაყიდვა არ გვსურს. ბავარიას შეუძლია, რობერტთან ერთად ბევრ რამეს მიაღწიოს. ის შესანიშნავი თავდამსხმელია, რომელსაც გამუდმებით გააქვს გოლები მეტოქეთა კარში. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ საფეხბურთო სეზონში მისი სტატისტიკური მონაგარი, კვლავ უმაღლეს ნიშნულზე დარჩება. მას თავის ამჟამინდელ გუნდთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, ასე რომ, იგი რჩება.

ხელშეკრულების თანახმად, 29 წლის მოიერიშემ ბაიერნის რიგებში 2021 წლის 30 ივნისამდე უნდა იასპარეზოს.

ფეხბურთელის მიმდინარე სატრანსფერო ღირებულება 85 მილიონ ევროს შეადგენს.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელსაც ბაიერნის დატოვება სურს, ცენტრალური მცველი ჟერომ ბოატენგია. ფეხბურთელის მიმართ ყველაზე დიდ დაინტერესებას „პარი სენ-ჟერმენი“ იჩენს.

ბაიერნის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგე იმ მიზეზებს ასახელებს, რომელთა გამოც, 29 წლის უკანახაზელს „რეკორდმაისტერის“ დატოვება სურს.

კარლ-ჰაინც რუმენიგე:

– გასული საფეხბურთო სეზონის დასრულების შემდეგ, ჟერომმა თავისი აგენტის მეშვეობით, კლუბის ხელმძღვანელობას შეგვატყობინა, რომ სურს ახალი გამოწვევების მიღება მანამ, სანამ საკუთარ პროფესიონალურ კარიერას დაასრულებს. მაშინ ვუთხარი, რომ, თუკი რომელიმე გუნდი, ბაიერნისთვის საინტერესო სატრანსფერო თანხას გადაიხდიდა, ჩვენი მხრიდან მზად ვიყავით ხსენებული მოლაპარაკებების დასაწყებად. რაც შეეხება პარი სენ-ჟერმენის ინტერესს აღნიშნული ფეხბურთელის მიმართ, გეტყვით, რომ ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით, მოლაპარაკებები ამ დრომდე არ გვქონია. მიუხედავად იმისა, რომ თავად ბოატენგის აგენტი პსჟ-ს ხელმძღვანელობასთან კავშირზეა, ხსენებული ტრანსფერის განსახორციელებლად საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

გაურკვეველი სქესის საყვარელი სასამართლოს წინაშე წარდგა

შოტლანდიის მკვიდრს კარლოს დელაკრუზს სასამართლოს წინაშე წარდგომა იმ მიზეზით მოუწია, რომ მრავალი წლის განმავლობაში ის ერთბაშად ორ ქალს უმალავდა, რომ მას სასქესო ორგანო არ ჰქონდა.

35 წლის დელაკრუზი, რომელიც მამაკაცად ასაღებდა თავს, წლების მანძილზე შიშველი არ ენახვებოდა თავის ორ პარტნიორს და მათთან სქესობრივ კავშირს, მხოლოდ სიბნელეში ამყარებდა.

ორმა ქალმა, რომლებმაც ვინაობის გამხელა არ ისურვეს, ქალაქ ედინბურგის შერიფის სასამართლოს მიმართეს, როდესაც აღმოაჩინეს, რომ მათ პარტნიორს სასქესო ორგანო არ ჰქონდა. საქმის სასამართლო განხილვის დროს დელაკრუზმა აღიარა, რომ ქალებთან სექსისთვის მათი თანხმობის გარეშე „უცნობ ობიექტს“ იყენებდა.

განსასჯელს ქალებთან ურთიერთობა სხვადასხვა დროს ჰქონდა. პირველ საყვარელთან ურთიერთობა მან 2013 წლის მაისში დაამყარა. ქალმა აღიარა, რომ მამაკაცს უფლება მისცა, რომ მაისური არ გაეხადა, ვინაიდან ის თითქოსდა ძალიან მორცხვობდა. ეს ურთიერთობა ქალს დისკომფორტს ანიჭებდა, მას პარტნიორის კანზე უშუალო შეხების უფლება არ ეძლეოდა.

მეორე ქალის და დელაკრუზის ურთიერთობა 2016 წლის იანვარში დამყარდა და ორი თვის შემდეგ ისინი უკვე ერთად ცხოვრობდნენ. ის ასევე ტკივილს განიცდიდა სექსის დროს და ცხრა თვის შემდეგ ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

იმ დროისთვის პირველმა საყვარელმა პოლიციას აცნობა, რომ დელაკრუზი მას ატყუებდა. დაშორებიდან ერთ თვეში კი მამაკაცის საიდუმლოს შესახებ ცნობილი მეორე ქალისთვისაც გახდა.

სასამართლო საბუთებში დევს სამედიცინო დასკვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ ბრალდებულს პენისი არ აქვს. დელაკრუზის გენდერული კუთვნილობის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება. მას გაუპატიურებაში ადანაშაულებენ.

პლასტიკური ოპერაციის შემდეგ ჩინელი გოგონა თვალებს ველარ ხუჭავს

ჩინეთის პროვინცია შანსის ქალაქ ტაიიუანის მცხოვრები გოგონა წარუმატებელი პლასტიკური ოპერაციის შემდგომ გართულებებს გადააწყდა.

2017 წელს 18 წლის სიაობაინ თვალების ჭრილის ფორმის შეცვლა გადაწყვიტა. ორი კოსმეტიკური პროცედურის შემდეგ მას მარცხენა თვალი გაუსივდა და ასტკივდა, გაუუარესდა მხედველობა, წარმოიშვა სხვა პრობლემებიც. საავადმყოფოში გოგონა დაარწმუნეს, რომ ეს სრულიად ნორმალური იყო და მალე ეს ყოველივე გაუვლიდა.

ჩვეულებრივ აღდგენის დრო ორ-სამ დღეს გრძელდება, თუმცა უკვე მთელი წელი გავიდა და სიაობაი კვლავაც ადრინდელივით იტანჯება.

– ლოყაზე დაზიანებული თვალიდან ხშირად ჩამოსდის ცრემლები. ქუთუთოები ნორმალურად აღარ ფუნქციონირებს, წამწამები სულ სხვა მიმართულებით ეზრდება და თვალის გარსს უღიზიანებს, – განაცხადა გოგონას დამ.

საავადმყოფომ პრობლემის არსებობა მხოლოდ მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს აღიარა. წარუმატებელი პროცედურის შედეგების აღმოსაფხვრელად სპეციალისტი მიიწვიეს შანხაიდან, რომელიც ორ დამატებით ოპერაციას ჩაატარებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დინგოს ჯიშის გარეულმა ძაღლებმა ქალი ჩასაფრებაში ტელეფონით შეიტყუეს და თავს დაესხნენ

ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში გარეული ძაღლების დინგოს ხროვამ ქალი ჩასაფრებაში შეიტყუა და შემდეგ თავს დაესხა.

თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც 54 წლის დებრანდლი, რომელიც მაღაროში მცველად მუშაობდა, ღია ცის ქვეშ მოწყობილ სასადილოში სადილობდა. ველური ძაღლი დინგო ქალის მაგიდას მიუახლოვდა, ყურადღება არ მიაქცია მისთვის გადაგდებულ ბუტერბროდს, პირი მაგიდაზე დადებულ მის მობილურ ტელეფონს დასტაცა და გაიქცა.

ცხოველი შორს გაიქცა და მასზე გაკიდებული ქალი ჩასაფრებაში შეიტყუა, სადაც მას კიდევ ორი ძაღლი ელოდებოდა. სამივე დინგო რანდლის თავს დაესხა და ფეხებსა და ხელებზე კბენა დაუწყეს. ქალი შეეცადა, გაქცეულიყო, მაგრამ ძაღლები არ ეშვებოდნენ. მისმა კოლეგებმა მხოლოდ 10 წუთის მერე გაიგეს მისი ყვირილი და დასახმარებლად მისცვივდნენ.

ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს და ოპერაცია გაუკეთეს. მას ნაკბენები მთელ სხეულზე ეტყობა, მაგრამ ყველაზე მეტად ფეხები აქვს დაზიანებული. ექიმების შეშფოთების მიზეზი ფეხზე საკმაოდ ღრმა ნაჭრილობევი გახდა. ისინი იმასაც არ გამორიცხავენ, რომ ქალს შესაძლოა ფეხის ამპუტაცია დასჭირდეს.

ჩინელ ქალს თირკმლებიდან სამი ათასამდე კენჭი ამოუღეს

თითქმის სამი ათასი კენჭი ამოუღეს თირკმლებიდან ექიმებმა ჩინელ ქალს. ასეთი რაოდენობის კენჭები ინფექციის შედეგად წარმოიქმნა, რომლის გავრცელებას, თავის მხრივ, ხელი დიაბეტმა შეუწყო.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ექიმებს ერთი საათი დასჭირდათ, რათა ქალის თირკმლებიდან ამოღებული კენჭები დაეთვალათ – სულ 2980 ცალი აღმოჩნდა.

– ჩვენ გავოგნდით, როდესაც ეს დავინახეთ. ატროფიის სერიოზული რისკი არსებობდა. მხოლოდ მათი ამოღებით იყო შესაძლებელი მდგომარეობასთან გამკლავება, – განაცხადა ცზიანსუს პროვინციის ჩანჩჟოუს ოლქის საავადმყოფოს უროლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა მო ნაისინმა.

56 წლის ქალმა საავადმყოფოს მუცლის არეში ტკივილებზე ჩივილით მიმართა.

ასტროპროგნოზი

31 ივლისისთვის

ვერძი – კრიტიკული დღეა. სხვისი პრობლემების მოსაგვარებლად ნუ გაირჯებით. გაუფრთხილდით ფინანსებს. **კურო** – ნებისმიერი საქმე გულდასმით აკეთეთ. მაინცდამაინც ნუ იაქტიურებთ. **ტყუპები** – იფრთხილეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას. გულს ზედმეტად ნურავის გადაუშლით. **კირჩხიბი** – დაკისრებული მოვალეობა მშვიდად და დაკვირვებით შეასრულეთ. შედეგს გვიან, მაგრამ თქვენთვის სასურველს მიიღებთ. **ლომი** – იყავით პრინციპული, მაგრამ – სამართლიანი. ხელმძღვანელობის შენიშვნები გაითვალისწინეთ. **ქალწული** – ნუ გარისკავთ. კომერციულ სფეროში გარკვეული წინააღმდეგობები შეგხვდებათ. აკონტროლეთ ხარჯები. **სასწორი** – იღბლიანი დღეა. ნებისმიერ საქმეს თავს ადვილად და წარმატებით გაართმევთ. ახლობლები სასიხარულო ინფორმაციას მოგაწვდიან. **ღრიანკალი** – ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული დღეა. აგრესიული გამოხდომებისაგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ. სარისკო კომერციული ოპერაციებისთვის შეუფერებელი დღეა. **თხის რქა** – მერკურის გავლენა ფინანსურ კრახს გამოიწვევს. სამსახურში შესაძლოა დაგაქვეითონ. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი ჯერჯერობით კვლავ მაღალია. ნებისმიერ ვითარებაში თავს ლაღად გრძნობთ. **თევზები** – ემოციები აკონტროლეთ. დღის მეორე ნახევარი მშვიდ გარემოში, ბუნების წიაღში გაატარეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ყველაზე ღრმა ტბა მსოფლიოში; 2. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 3. ჯუნა მიქატაძის ქანდაკება თბილისში; 4. თაღლითის, მატყუარას ძველი ქართული სახელწოდება; 5. ქართველი პოეტი; 10. ამერიკული ავია-კოსმოსური კონცერნი; 11. საწყლოსნო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა; 12. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 13. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 16. არჩევითი ორგანო ქალაქის თვითმმართველობაში; 17. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 19. სახელმწიფო ევროპაში; 21. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 23. ფულის ერთეული ირანში.

თარაზულად: 6. საფრანგეთის ჰიმნი; 7. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარული ფირმა; 8. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 9. ტროპიკული ლერწმისგან დამზადებულ მასალაზე შესრულებული ეგვიპტური ხელნაწერი; 14. სხეულის რომელიმე ნაწილის გახვრეტა სამკაულის დასამაგრებლად; 15. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 18. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. საფრანგეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 22. არომატიზირებული, დასპირტული ღვინო; 24. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 25. წითელი ფერის, ნახევრად მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 26. ყოველდღიური, ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ზარდახშა; 6. კრემაცია; 8. იდეალიზაცია; 10. არომატი; 11. ბარი; 12. ეთნოსი; 14. მანია; 17. პიურე; 19. მარლა; 20. მერინოსი; 21. იოტა; 22. კათარსისი; 23. კარტუზი.

შვეულად: 1. სარდაფი; 2. მეგალითი; 3. პიასტრი; 5. აბლაბუდა; 7. უცხოეთი; 9. ლაბირინთი; 13. პენუარი; 15. აკაცია; 16. მოდელი; 18. პრიმა.

სკანვორდის პასუხები:

1. პარაბოლა; 2. ან; 3. ნიყვი; 4. ოყა; 5. ავა; 6. იდეა; 7. პარეზი; 8. „ავატარი“; 9. პაატა; 10. კაროლ; 11. ადელაიდა; 12. ნდობა; 13. ტვერი; 14. აკვარელი; 15. ზნე; 16. ილი; 17. ინა; 18. პანსა; 19. პარტია; 20. ბატატი; 21. პაი; 22. მისის; 23. სატირა; 24. დანტე; 25. იო; 26. ადა; 27. „ლამარა“; 28. იიპე; 29. ბელკანტო; 30. მარაო; 31. კამერა; 32. რამლი.

სურათებზე: ადრიანა ესტევესი; რაფაელ ვან დერ ვარტი.

სტეფანე იუბილარებს კონცერტზე უფასოდ ეპატიჟება

3 აგვისტოს სტეფანე კონცერტს ბათუმში გამართავს. ამ დღეს მომღერალი იუბილარია და გადაწყვიტა, 3 აგვისტოს დაბადებულებს სასიამოვნო საჩუქარი გაუკეთოს – კონცერტზე დასწრების ყველა მსურველი, ვინც 3 აგვისტოს არის დაბადებული, მომღერლის გადაწყვეტილებით, კონცერტზე უფასოდ შეძლებს დასწრებას.

– ამისთვის საჭიროა მხოლოდ პირადობის მოწმობა და თქვენ შეგეძლებათ საკუთარი დაბადების დღე ჩემთან ერთად გაატაროთ, – ასე მიმართავს 3 აგვისტოს დაბადებულებს მომღერალი.

სტეფანე ბათუმში სპეციალური საკონცერტო პროგრამით ჩადის. თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარებული კონცერტის შემდეგ, მომღერალმა გადაწყვიტა, ზაფხულის სეზონზე ბათუმში იმღეროს და მხოლოდ ერთი დღით, საკუთარ დაბადების დღეს, მსმენელს დაუვიწყარ კონცერტს შესთავაზებს.

სოფო ბათილაშვილი კონცერტს ბათუმში გამართავს

თბილისში ჩატარებული პირველი სოლო კონცერტის შემდეგ, „მხოლოდ ქართულის“ გამარჯვებული სოფო ბათილაშვილი კონცერტს ბათუმში გამართავს.

31 ივლისს ბათუმის ხელოვნების ცენტრში სოფო ბათილაშვილთან ერთად მსმენელისთვის იმღერებენ ნუკრი კაპანაძე, ზვიად ბოლქვაძე და აფხაზეთის კაპელა.

სოფო ბათილაშვილი:

– ვისაც აფხაზეთის კაპელა ზვიად ბოლქვაძის საგუნდო ინტერპრეტაციებით ჯერ კიდევ არ მოგისმენიათ, შესაშური პირველად განსაცდელი ემოციები გელით წინ. მუსიკის ზეიმზე გიწვევთ ყველას.

სამგლოვიარო განცხადებები

საოჯახო მედიცინის ცენტრი „აფხაზეთის კოლექტივი“ თანაგრძნობას უცხადებს ამავე სამედიცინო დაწესებულების დირექტორს, ლამზირა ზოდელავას დედის, ქალბატონი

მზია შელიას

გარდაცვალების გამო. კიდევ ერთი შესანიშნავი ქართული ოჯახის დედაბოძი აფხაზეთიდან, ყველაზე მზრუნველი, მოამაგე, უაღრესად ტრადიციული ქალბატონი გადავიდა მარადისობაში. დაე, უფალმა ნათელი სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს. მის მემკვიდრეებს დიდხანს სიცოცხლე და ყველა ამქვეყნიური სიკეთე საყვარელი დედისა და ბებიის მარადიული ხსენებისათვის.

საქართველოს თვითდასაქმებულთა და ვაჭრობის სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის, შპს „მშვიდობა-91“-ის, რესტორან „ლორდის“ დამფუძნებლის

გურამ მეფარიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და შრომით კოლექტივს.

ქავთარიების ოჯახი – მიხეილ, ლულუ, პაატა, ქეთინო, ზაზა, მარიამ და ერეკლე შათირიშვილი იუწყებიან ხაშურის სამედიცინო სამსახურში ცნობილი ექიმის

გულნარა (გულიკო) ნოეს ასულ ქავთარია-მარუაშვილის

გარდაცვალებას.

სააქციო საზოგადოება „სურინჯის“ ადმინისტრაცია და შრომითი კოლექტივი სამძიმარს უცხადებს თანამშრომელ პაატა დარსალიას დედის, ქალბატონი

ნატრული პაპავას

გარდაცვალების გამო.

ვახტანგ თორდია ოჯახით თანაუგრძნობს უახლოეს მეგობარს რეზო ჯომიდავას დედის, ქალბატონი

ნათელა ცქვიტარიას

გარდაცვალების გამო.

გამოსვენება: 31 ივლისს, 15 საათზე, ანდრიაპირველწოდებულის სახელობის ეკლესიიდან (მისამართი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 33).

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ბიძინა კვერნაძე 90 წლის გახდებოდა



კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე 90 წლის გახდებოდა. მისი ოპერები, ბალეტები, ინსტრუმენტული კონცერტები, საორკესტრო და ვოკალურ-სიმფონიური ნაწარმოებები, საფორტეპიანო პიესები, საესტრადო სიმღერები, მუსიკა კინოსა და დრამატული სპექტაკლებისათვის ჭეშმარიტი მუსიკის მოყვარულებს დღესაც ძალიან უყვართ. კომპოზიტორი მუსიკის გარდა, თავისი არაჩვეულებრივ იუმორითაც იყო ცნობილი. მისი ხუმრობები კოლეგებში დღესაც პოპულარულია.

ბიძინა კვერნაძეს მუსიკისადმი სიყვარული და ინტერესი დედის მხრიდან გამოყვა. მისი დედა მუსიკის მასწავლებელი იყო. თბილისში ზაქარია ფალიაშვილთან მეცადინეობდა, შემდეგ კი სწავლა გერმანიაში გააგრძელა. ბიძინა კვერნაძის დედა 35 წლის ასაკში გარდაიცვალა, როცა კომპოზიტორი 5 წლის იყო. სწორედ დედას სურდა შვილი მუსიკოსი გამხდარიყო, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ მუსიკალურ განათლებაზე საუბარი აღარ ყოფილა.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, ნინაღლი ჩავიდნენ ცნობილი მუსიკოსები მუსიკალური სმენით დაჯილდოებული ახალგაზრდების შესარჩევად. მიზანი იყო სასულე ინსტრუმენტებზე შემსრულებელი კადრების მომზადება. გამოცდაზე რაღაც რიტმს დააკაკუნებდნენ და ვინც სწორად გაიმეორებდა, ჩაირიცხებოდა. მოხდა კურიოზი, ბიძინა კვერნაძეს რაღაც შეეშალა და მას მეგობარმა, შემდგომში შინაგან საქმეთა სამსახურის გენერალმა, ოთარ ხატიაშვილმა აჯობა, ის მიიღეს, კომპოზიტორი კი გარეთ დარჩა. მისი დის დიდი მონდომების შემდეგ, კომპოზიტორი ჩარიცხეს ინტერნატის ხანდაზმული ბავშვების განყოფილებაზე, რომელსაც წვევამდელების ჯარიდან დახსნა შეეძლო. როცა საქმე მიდგა მუსიკალური საკრავების განაწილებაზე, 11-17 წლის ბავშვებმა დაიტაცეს ლამაზი, პრიალა ინსტრუმენტები, დარჩა მხოლოდ კონტრაბასი, რომელიც კომპოზიტორს ერგო. ახლად დამთავრებული ომის შემდეგ შიმშილი იყო და ბიძინა კვერნაძე აყუდებულ კონტრაბასზე ჩამოეკიდებოდა ხოლმე სულის მოსათქმელად.

პირველი წელი მისთვის ყველაზე რთული აღმოჩნდა – ნოტები, ფორტეპიანო, კონტრაბასი. უკვე თავის დანებებას აპირებდა, როდესაც გამოჩნდა ტერეზა არონიშიძე და კომპოზიტორის ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. ერთ წელიწადში საბავშვო პიესებიდან პირდაპირ შოპენის ეტიუდების დაკვრა დააწყებინა, პარალელურად კომპოზიციას სწავლობდა ალექსანდრე შავერზაშვილთან და ანდრია ბალანჩივაძესთან.

როცა ბიძინა კვერნაძემ საგამოცდო კომისიას წარუდგინა თავისი ნაწარმოებები, იგი ფრიადოსნის ნიშნით ჩაირიცხა კონსერვატორიის თეორიულ?საკომპოზიციო ფაკულტეტის პირველ კურსზე. შემოქმედების პირველ პერიოდში საკმაოდ დიდი ადგილი ეკავა ხალხურ მუსიკას. ფოლკლორის საფუძვლიანი შესწავლა ზეგავლენას ახდენდა მუსიკოსის ფორმირებაზე. ის ახალგაზრდებსაც ურჩევდა დაუფლებოდნენ ამ განძს. ფოლკლორთან დამოკიდებულების უბადლო ნიმუშად კი „აბესალომ და ეთერი“ მიაჩნდა.

– ვისაც სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი, რომ გახდეს კომპოზიტორი, უნდა იცოდეს, რომ ფოლკლორის ღრმა შესწავლის გარეშე შეუძლებელია რაიმეს მიღწევა. არიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც ეუფლებიან ხალხური მუსიკის საიდუმლოს და ღრმა ანალიზს უკეთებენ მას, მაგრამ მუსიკოსებში, ასევე მხატვრებში შეინიშნება, რომ პირდაპირ უნდათ ჩახტნენ ავანგარდიზმში. უნდა გვახსოვდეს, რომ პიკასოც და დალიც დიდი ავანგარდისტები იყვნენ, მაგრამ როგორ ფლობდნენ კლასიკური ხატვის ტექნიკას?! – ამბობდა კომპოზიტორი.

რაც შეეხება თანამედროვე მუსიკას, კომპოზიტორს ამაზეც საკუთარი მოსაზრებები ჰქონდა:

– აშკარად მომძლავრდა სათანადო გემოვნებით გამორჩეული უცოდინართა მხარდამჭერი საზოგადოებაც და თავისი დონის დამფინანსებლებიც იოლად იპოვა. ფულმა ჯერ ვერ მოასწრო საზოგადოების გაკეთილშობილება და ამას ეთმობა დიდი საეთერო დრო, საესტრადო დარბაზები, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, ყველაფერი ასე იყოს! ჩვენ გვყავს მაღალი პროფესიული დონის, ძალიან ნიჭიერი საესტრადო მუსიკის წარმომადგენლები, რომლებიც, იმედია, იმძლავრებენ ამ წრეგადასულ მდაბიოობაზე. არაფერს ვამბობ კლასიკურ მუსიკაზე, იგი, როგორც ინტელიგენცია, მიგდებულია მხოლოდ მოყვარულების იმედზე. რა ჩემი დარწმუნება გჭირდებათ, მისი და საერთოდ მაღალი კულტურის მოვლა ყველაზე დიდი პირობაა საზოგადოების გასაჯანსაღებლად.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სოფელ აწყურში ეკლესია ბოსლად არის ქცეული

ზურა კვანჭახაძემ სოციალურ ქსელში გაავრცელა ვიდეო, სადაც სოფელ აწყურში მდებარე ეკლესიაა გადაღებული. ვიდეოში ჩანს, რომ ეკლესია მიგდებულია და ამჟამად ის ბოსლად გამოიყენება:

– ხალხო, აი, რელიგიურ დღესასწაულებზე ფეისბუკს რომ ააყვავებთ ხოლმე ხატებითა და ჯვრებითა! გაბუნიას რომა წყევლით, ეს რა თქვა, რუსთავი ორს რომ აღარ უყურებთ, თუ არ იცით აწყური სადაა, რუქაზე ნახეთ.

ქართველების უპატრონობის და იდიოტობის ბრალია, რომ ეკლესიას ვიღაც ხმარობს ბოსლად. მოკლედ, იქ ერთი მასტი, ან მასტების ჯოგი ეკლესიას ბოსლად ხმარობს, ზედ ცენტრალური ტრასიდან 100 მეტრში. იქ მისასვლელად არც ჯიპია საჭირო, არც ტანკი. ამ ქვეყანაში ღმერთი კიდევ სწამს ვინმეს?“

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ნინო სურგულაძე ავიაკატასტროფას გადაურჩა

ოპერის მომღერალი ნინო სურგულაძე ავიაკატასტროფას გადაურჩა. თვითმფრინავი, რომლითაც მეცო-სოპრანო მიფრინავდა, ტურბულენტურ ზონაში მოყვა და რამდენიმე წუთის განმავლობაში მგზავრები კარგა გვარიანად შეაშინა.

ნინო სურგულაძე ნეაპოლიდან მილანში მიფრინავდა. როგორც ოპერის მომღერალი აცხადებს, 40 წუთის განმავლობაში საშინელება გამოიარა, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა და ყველა მგზავრი გადარჩა.

ჯალეიდოსკოპი

მაიამიში მოდელმა ბავშვს ძუძუ პოდიუმზე აჭამა

ამერიკის ქალაქ მაიამიში საცურაო კოსტიუმების ჩვენების დროს მოდელი მარა მარტინი პოდიუმზე თავის ხუთი თვის ქალიშვილთან ერთად გამოვიდა და რომელსაც ძუძუს აჭმევდა.

მარტინი პოდიუმზე ოქროსფერი ბიკინით იყო გამოსული იმ დროს, როდესაც თავის გოგონა არიას აჭმევდა. ბავშვს ყურებზე ხმის ჩამხშობი ყურსაცმები ეკეთა, რათა ის მუსიკის ხმისა და მაყურებლების ხმაურისგან ყოფილიყო დაცული.

– ვერ ვიჯერებ, რომ დღეს დილით გაღვიძებულს გამოცემების გარეკანები ჩემი და ჩემი გოგონას სურათებითა და მისთვის მიძღვნილი სტატიების სათაურებით აჭრელებული დამხვდა. მე ხომ ამას ყოველდღე ვაკეთებ, – დაწერა მოდელმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე.

სოციალური ქსელების მრავალმა მომხმარებელმა მხარდაჭერა გამოხატა მარტინის მისამართით და მის საქციელს აღმაფრთოვანებელი უწოდა. თუმცა ისეთებიც გამოჩნდნენ, რომელთაც მომხდარს პიარ-სვლა უწოდეს და მოდელს საზოგადოების ყურადღების მიქცევის სურვილში დასდეს ბრალი.

ზვიგენმა გოგონა სავაჭრო ცენტრში დაკბინა

ჩინეთის გუიჩჟოუს პროვინციის ქალაქ გუიანში გოგონა დაკბინა ზვიგენმა, რომელიც სავაჭრო ცენტრის აკვარიუმში ბინადრობს.

ექვსი წლის სიაო ლი სავაჭრო ცენტრში ბებიასთან და დეიდასთან ერთად იმყოფებოდა. გოგონა აკვარიუმმა დაინტერესა, რომელშიც ოკუნები, ზვიგენები და ზღვის კუები დაცურავდნენ. როდესაც ბავშვი მინის კედელს მიეყრდნო, რათა უკეთ დაეთვალიერებინა აკვარიუმის ბინადარნი, ერთ-ერთი მტაცებელი თევზი წყლიდან ამოხტა და მას ხელში ჩააფრინდა.

ზვიგენის კბილებმა ბავშვის ხელზე ხუთ სანტიმეტრამდე სიგრძის ღრმა ნაჭრილობევები დატოვა. გარდა ამისა, სიაო ლიმ მარჯვენა ხელის მტევნის ძვლების ცხრა მოტეხილობა მიიღო. თუ ტრავმის მოშუშება ცუდად მოხდება შესაძლოა ქირურგიული ჩარევა გახდეს აუცილებელი.

სავაჭრო ცენტრის მენეჯერი თვლის, რომ ბავშვმა თავად მოახდინა მტაცებელი თევზის თავდასხმის პროვოცირება, როდესაც ხელი აკვარიუმში ჩაყო. მისი თქმით, ეს სათვალთვალო კამერების მიერ გადაღებულ კადრებში კარგად ჩანს. ადგილობრივი პრესის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში კი ნათქვამია, რომ სინამდვილეში ვიდეოჩანაწერი არ იძლევა იმის დანახვის საშუალებას, გოგონას მართლაც ჰქონდა თუ არა ხელი ჩაყოფილი აკვარიუმში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

31 ივლისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4490
- ევრო — 2.8479
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2072
- 100 რუსული რუბლი — 3.8874

ამინდის პროგნოზი 31 ივლისისთვის

ივანკა ტრამპი საკუთარ ბრენდს ხურავს

აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ქალიშვილი და ამავე დროს მრჩეველი ივანკა ტრამპი ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის საკუთარ ბრენდს ხურავს. ამ ინფორმაციას უოლ სტრიტ ჯურნალი ავრცელებს.

გამოცემის მონაცემებით, ივანკამ საკუთარი ბრენდის დახურვა იმის გამო გადაწყვიტა, რომ თავიდან აიცილოს ინტერესების კონფლიქტი მის ბიზნესსა და ქვეყნის ლიდერის დონალდ ტრამპის მრჩევლის რანგში მუშაობის გამო.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ გადაწყვეტილების მიღება ივანკასთვის ადვილი არ ყოფილა. მან თავის ყველა თანამშრომელს მადლობა გადაუხადა მისი კომპანიის მუშაობაში მონაწილეობისთვის.

მიშელ უილიამსი მალულად გათხოვდა

ამერიკელი მსახიობი მიშელ უილიამსი მალულად გაჰყვა ცოლად კომპოზიტორს, მუსიკოსსა და პროდიუსერ ფილ ელვერუმს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქორწინო ცერემონია, რომელსაც წყვილის ახლო მეგობრები და უილიამსისა და ელვერუმის ქალიშვილები ესწრებოდნენ, ადირონდაკის მთებში გაიმართა.

უილიამსი 2000-იანი წლების დასაწყისში მსახიობ ჰიტ ლეჯერს ხვდებოდა, რომლისგანაც ეყოლა გოგონა მატილდა. ელვერუმი დაქორწინებული იყო კანადელ ილუსტრატორზე ჟენევიევ კასტრეზე, რომელიც შვილის დაბადებიდან მალევე კიბოთი გარდაიცვალა.

მას მედიაში ნიკ ჯონასის და პრიანკი ჩოპრის ნიშნობის ამბავი გავრცელდა

მსახიობი და მომღერალი ნიკ ჯონასი ბოლივუდის ვარსკვლავ პრიანკი ჩოპრიზე დაინიშნა. ამ ინფორმაციას გამოცემა People ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

გამოცემის ინფორმაციით, 25 წლის მსახიობმა 36 წლის ჩოპრის ხელი სთხოვა. წყვილი დაახლოებით ორი თვის მანძილზე ხვდებოდა ერთმანეთს. ჟურნალის ინფორმატორი აღნიშნავს, რომ მომღერალი „ძალიან, ძალიან ბედნიერია“.

– მის მეგობრებსა და ოჯახის წევრებს ის ასეთი ბედნიერი არასოდეს უნახავთ და ეს მათ ძალიან ახარებთ, – ხაზგასმით აღნიშნა ინფორმირებულმა წყარომ.

ფრანგმა მერმა კოღოები აკრძალა

საფრანგეთის მენისა და ლუარას დეპარტამენტების ქალაქ ბრიოლეში კოღოები აკრძალეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ადგილობრივი მცხოვრებლები სისხლის მწოველი მწერების მომრავლებაზე ჩიოდნენ, რაც ივლისის დასაწყისში წყალდიდობას მოჰყვა. ბრიოლეს მერმა ამ პრობლემაზე რეაგირება საგანგებო ბრძანებულებით მოახდინა, რომელიც ქალაქში კოღოებს კრძალავს. გარდა ამისა, მან რატუშის, დაწყებითი სკოლისა და საბავშვო ბაღის მახლობლად კოღოებისთვის ხაფანგები დაადგმევინა.

– ასეთი კომიკური საშუალებით ვცდილობ მოქალაქეებამდე მივიტანო ის აზრი, რომ მე სინამდვილეში ამ პრობლემას ვერაფრით მოვაგვარებ, – განმარტა ქალაქის მერმა, – უმრავლესობამ ეს სასაცილოდ მიიჩნია. ბრძანებულების გამოცემის შემდეგ კოღოების რაოდენობა შემცირდა, თუმცა, მერის თქმით, ეს მის დადგენილებასთან არაფერ კავშირშია.

უცნაური ვირთხა-ჭიაყელა ვიდეოზე გადაიღეს



ბრიტანეთის ქალაქ საუთჰემპტონში ქალმა ვიდეოზე გადაიღო უცნაური არსება, რომელიც ვირთხისკუდიან სქელ ჭიაყელას წააგავს.

ქალი ამტკიცებს, რომ უჩვეულო ცხოველი მისი სახლის კედლის გასწვრივ ჭიაყელასავით მიცოცავდა. მან არსებას ვერ შენიშნა ვერც თავი, ვერც ფეხები. მისი შეფასებით, არსების სიგრძე დაახლოებით 13 სანტიმეტრს შეადგენდა.

ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა აღნიშნავს, რომ არსება ბზუილა ბუზის მატლს წააგავს, თუმცა მათი სიგრძე ჩვეულებრივ სამ სანტიმეტრს არ აღემატება. ანუ ისინი ვიდეოზე აღბეჭდილ არსებაზე ოთხჯერ უფრო პატარები არიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემი მეზობელი გივი ხომ იცი?

– რომელი, პოლიციაში რომ მუშაობს?

– აღარ მუშაობს.

– რატომ?

– საგანგებო დავალებით ეკლესიასთან მათხოვრად დასვეს და მეორე დღესვე მოითხოვა პოლიციიდან გაშვება.

●●●

ზაფხულია, ცხელა. კაცი სახლში მიდის, ხელში კი ცივი ლუდით სავსე ბალონი უჭირავს. ამ დროს ქუჩაში დაგდებულ ბოთლს ფეხს წამოჰკრავს. ბოთლი გატყდება და იქიდან ჯინი ამოვა. ჯინი კაცს ეუბნება:

– რადგან გამათავისუფლე, ერთ სურვილს შეგისრულებ.

– მინდა, რომ ამ ბალონში ცივი ლუდი არასოდეს გათავდეს.

ჯინმა შეულოცა და გაქრა. მას შემდეგ კაცი ვერაფრით ახერხებს ბალონის გახსნას.

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– გოგონი, მე შემიძლია, სიყვარულის ხელოვნებას გაზიარო...

– მართლა? და მაინც რამდენის დახარჯვას აპირებ ჩემს განათლებაში?

●●●

სკოლიდან დაბრუნებულ შვილს დედა ეკითხება:

– რატომ ხარ ასე დაღვრემილი, შვილო? რა მოხდა?

– მასწავლებელმა მითხრა, რომ მათემატიკის საერთოდ არაფერი გამეგება და დღიურში რაღაც ციფრი ჩამიწერა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რას გიგავს სახე, რა დაგემართა, ვინ გცემა?

– ბიჭო, გუშინ ლიფტში ერთ დიდმკერდიან ქალთან ერთად აღმოვჩნდი, მის მკერდს მივაჩერდი და ყველაფერი დამავიწყდა...

– მერე?

– მერე, ქალი მეუბნება, რას დგახართ, ბოლოს და ბოლოს, დააჭერთ თუ არა თითსო... მეც დავაჭირე და მერე აღარ მახსოვს არაფერი...

●●●

მეგობარი გაჭირვებაში იცნობა, ვაჟკაცი – ბრძოლაში, ცოლი – სიღარიბეში, ქმარი – დეკრეტულში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

ნეიმარი: „ხანდახან ვსიმულიანტობ“



ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ნეიმარმა თავის თამაშის სტილზე ისაუბრა და თქვა, რომ ის მუდმივად ცდილობს მეტოქეების მოტყუებას, რის გამოც მას ხშირად უხეშად ეთამაშებიან. ნეიმარის თქმით, ის იძულებულია, რომ ხშირად წაიქცეს ხოლმე:

– ბევრი ფიქრობს, რომ მე სიმულაციას მივმართავ, მაგრამ ადვილი შესამჩნევია, რომ ხშირად უხეშად მეთამაშებიან, ამიტომ იძულებული ვარ, რომ წავიქცე. ვაღიარებ, რომ ხანდახან ვსიმულიანტობ, მაგრამ ეს იშვიათად ხდება.

ტიბო კურტუას რეალში ტრანსფერი ჭიანურდება

ჩელსის ბელგიელი მეკარის ტიბო კურტუას ტრანსფერი რეალში უკვე გადაწყვეტილი ამბავი იყო, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო ის ჯერჯერობით ჭიანურდება და კურტუა კვლავ ჩელსიშია.

კურტუამ არაერთხელ განაცხადა, რომ მისთვის რეალში თამაში დიდი პატივი იქნება და მას სურს ამ გუნდში კარიერის გაგრძელება.

შესაძლოა, ჩელსის კურტუას სატრანსფერო ფასი არ აკმაყოფილებს და ცდილობს, რეალს უფრო მეტი გადაახდევინოს. რეალს ჩელსის სხვა ფეხბურთელების, ვილიანის და აზარის, ყიდვაც სურს.

რიად მარეზმა ტრავმა მიიღო

მანჩესტერ სიტის ახალწვეულმა რიად მარეზმა ბაიერნთან ამხანაგურ შეხვედრაში ტრავმა მიიღო. თავდაპირველად ტრავმა სერიოზული ჩანდა და ვარაუდობდნენ, რომ მარეზი ერთი თვე იუქმებდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მარეზი გაცილებით მალე გამოჯანმრთელდება.

რიად მარეზი მანჩესტერ სიტიში ზამთარში უნდა გადასულიყო, მაგრამ მაშინ ლესტერმა ეს ტრანსფერი დაბლოკა. ამის გამო მარეზი ერთი პერიოდი ლესტერში თამაშზე უარსაც ამბობდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. აფრიკული მოლაპარაკე თუთიყუში; 2. გარეგნული მომხიბვლელობა, ეშხი; 3. უბანი თბილისში; 4. პოლიტიკური პარტია საქართველოში; 5. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 6. მჭერმეტყველების თეორია; 8. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ნაწილი; 10. ნაღვლიანი განწყობა, სევდა; 11. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა; 14. გარდაუვალი ბედი, ბედისწერა; 15. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 16. ცხელი რომი, რომელიც შეზავებულია შაქრით, ჩაით და ლიმონის წვენით.

თარაზულად: 1. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული, ბალახოვანი სამკურნალო მცენარე; 4. ლითონის, ხის ზედაპირზე ამოკვეთილი ნახატი; 7. შავი ფისი; 9. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 12. ინფექციური დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმი; 13. ისტორიული ციხე-სიმაგრე ბათუმის მახლობლად; 14. მწვანე ფერის ციტრუსოვანი მცენარე; 17. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 18. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 19. ქოსა მამაკაცის სახელწოდება ძველად საქართველოში, 20. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა